საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფცქვაა, ფაფიოლებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 24 მარტი. 2017 წ. №63 (8200), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბოლოს და ბოლოს, თვალები გაახილეთ!

ფორსირებული შეტევა საქართველოზე

4

რატომ მფარველობენ ქვეყნის მთავრობა, სამართალდამცავი ორგანოები და „ბანკი ქართუ“ ღაჭვა-კოდუას კლანს?!

5

„მეშლექეთზე ფიქრებით“ – ქართული ენა და ლიტერატურა თურქეთში

8

კიევის ცენტრში რუსეთის დუმის ყოფილი წევრი მოკლეს

კიევის ცენტრში სასტუმრო „პრემიერ-პალასთან“ რუსეთის დუმის ყოფილი წევრი და რუსეთიდან უკრაინაში გაქცეული დენის ვორონენკოვი მოკლეს. რუსეთის კომპარტიის ყოფილ წევრს რუსი სამართალდამცავები მაქინაციებში და დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში ადანაშაულებდნენ. ვორონენკოვს ხმა აქვს მიცემული ყირიმის ანექსიისთვის და ასევე ანტიუკრაინულ გადაწყვეტილებებზე. უკრაინელი სამართალდამცავების ინფორმაციით მკვლელობა შეკვეთილია. მცველმა ქილერის დაჭრა მოახერხა და ის კლინიკაშია გადაყვანილი.

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო მკვლელობას რუსეთის მხრიდან ტერორს უწოდებს და რუსულ სპეცსამსახურებს ადანაშაულებს.



თანამედროვე მსოფლიო შეძლებს გაუმკლავდეს ტერორიზმის წარმოუდგენელ აგრესიას

ლონდონში მომხდარ ტერაქტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა და იმედი გამოთქვა, რომ თანამედროვე მსოფლიო შეძლებს, გაუმკლავდეს ტერორიზმის აგრესიას.

„შეშფოთებული ვარ ლონდონში მომხდარის გამო. საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი ყოველთვის ვიდგებით ცივილიზებული მსოფლიოს გვერდით ამ უკიდურესი სისასტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მჯერა, თანამედროვე მსოფლიო შეძლებს, გაუმკლავდეს ტერორიზმის წარმოუდგენელ აგრესიას. 21-ე საუკუნეში ვერ გაიმარჯვებს ადამიანისა და პროგრესის წინააღმდეგ მიმართული ბოროტება“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

გუშინ პრეზიდენტის სასახლეში პრეზიდენტის მოწვევით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომას უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრებიდან 6 წევრი დაესწრო. მათ შორის პრემიერი და თავდაცვის მინისტრი. სხდომას ვერ დაესწრო პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე რამდენიმე მინისტრი, რომლებიც ქვეყანაში არ იმყოფებიან.

საქართველოს მეცნიერები ეკლესიის გვერდით

2017 წელი მნიშვნელოვანი საიუბილეო წელია სრულიად საქართველოსათვის, საზეიმოდ აღინიშნება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საქართველოს ეკლესიის მამამთავრად დადგინების 40 წლისთავი.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის მეასე წლისთავთან დაკავშირებით

საქართველოს ეკლესიის ბოლო ასწლოვანი მატიანე თავის თავში მოიცავს როგორც აღორძინებასა და ამაღლებას, ასევე განსაცდელსა და ტკივილს. XX საუკუნის ჩვენი დიდი პატრიარქების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა ესაა გოლგოთისა და დიდების გზა. წამებულად აღესრულენ უწმინდესი პატრიარქები კირიონ II და ამბროსი. ათეისტურმა ხელისუფლებამ დედაეკლესიას ჩამოართვა იურიდიული სტატუსი, საეკლესიო ქონება, ადმინისტრაციული წესით დახურა ათასობით ეკლესია, იძულებით განმოსა, დააპატიმრა და ფიზიკურად გაანადგურა ასობით სასულიერო პირი. იყო ისეთი კრიტიკული წლები, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საკათალიკოსო საბჭოს წევრთა უმრავლესობა საპატიმროებში გამოამწყვდიეს. დაუჯერებელია, მაგრამ დანგრევის საფრთხე დაემუქრა მეტეხის ღვთისმშობლის, ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებს. ადმინისტრაციული წესით დახურვა ელოდა თბილისის სიონის და მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრებს. საზოგადოების უმრავლესობა იძულებით განეშორა ეკლესიას, ამ მწარე რეალობამ ათქმევინა პატრიარქ ეფრემ II-ს: „ჩვენ,



ძველები, მივდივართ, ახლები არ ჩანს, რატომ ეკიდება ასე გულგრილად ქართველი ახალგაზრდობა დედა-ეკლესიას? ნუთუ იმიტომ, რომ მას ასე დიდი ღვაწლი აქვს ქართველი ერის წინაშე?“. თუ 1921 წლის მონაცემებით საქართველოში მოქმედი იყო 1450 ეკლესია, 70 მონასტერი, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600-ზე მეტი სასულიერო პირი, 1977 წელს მოქმედი იყო 50 ეკლესია, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდა 70-მდე სასულიერო პირი, 15 მოქმედ ეპარქიას მხოლოდ 7 მღვდელმთავარი ჰყავდა.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერის დაწყება უკავშირდება 1977 წლის 23-25 დეკემბერს, როდესაც მეთორმეტე საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (ღუდუშაურ-შიოლაშვილი), უწმინდესი და უნეტარესი ილია II. „საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა, არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი – ასე დაიწყო თავისი პირველი მამამთავრული სიტყვა 44 წლის ახალგაზრდა საჭეთმპყრობელმა – ჭეშმარიტად, ამ განგებამ და მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა. მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა... თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის, ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება“...

იხ. 3 გვ.

უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით საქართველოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე სპეციალური პროგრამა ამოქმედდება

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლასთან დაკავშირებით, საბაჟო კონტროლის სისტემაში სპეციალური ცვლილებები განხორციელდება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ჩვენ სპეციალურ ცვლილებებს ვახორციელებთ საბაჟო კონტროლის სისტემაში. იუსტიციის სამინისტრომ შსს-სთან ერთად მუშაობს ამ საკითხზე. მოგეხსენებათ, როდესაც დღეს ადამიანი მიდის ვიზით ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, მისი შემოსვლის თარიღის დაფიქსირება კონტროლის მიზნით არ ხორციელდება, ანუ ჩვენ დავაყენებთ სპეციალურ პროგრამას, საბაჟო გამსვლელ პუნქტებზე, როდესაც ადამიანი მიემგზავრება ევროპის მიმართულებით, იმ სამი თვის გასვლის შემდეგ, რომელიც გათვალისწინებულია უვიზო მიმოსვლის პროცედურებით, ჩაირთვება პროგრამის სპეციალური მექანიზმი, და ინფორმირება მოხდება იუსტიციის და შს სამინისტროების, რომ ესა თუ ის პიროვნება ვადაში არ დაბრუნდა ქვეყანაში.

სწორედ ამ დროს ჩვენ ცირკულარულად გავაგზავნით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ ინფორმაციას და პრაქტიკულად ჩვენი მხრიდან დავიწყებთ მოძიებას ამ ადამიანის, იმისათვის, რომ მიეწოდოს ინფორმაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, და მოხდება რეადმისიის პროცედურის დაწყება. რა თქმა უნდა, სახელმწიფო დააფინანსებს ამ ხარჯებს, ხოლო შემდგომში თვითონ ამ ვადის დამრღვევ პიროვნებას დაეკისრება ეს ხარჯი. ეს მინდა ყველა ჩვენმა მოქალაქემ იცოდეს, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს მიღწევა, და ჩვენთვის მინშვნელოვანია, რომ ვიყოთ პასუხისმგებლიანი პარტნიორი ევროკავშირის ქვეყნებთან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ანუ 90 დღის გასვლის შემდეგ აინთება წითელი სიგნალი ჩვენს საბაჟო სისტემაში, ჩვენ დავიწყებთ ინფორმაციის გაგზავნას ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში, რომელსაც ეხება უვზო მიმოსვლა, და თვითონ ამ ქვეყნის შიდა პროცედურები დაიწყებენ ამ პიროვნებების მოძიებას და მათ რეადმისიის პროცედურას“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, მაქსიმალურად გაგრძელდება მუშაობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რათა საქართველოს უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი მიიღოს.

უვიზო მიმოსვლა და სამდღიანი ღონისძიებები საქართველოში

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები საქართველოში 26 მარტს დაიწყება და სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება, —ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა. მისივე თქმით, ღონისძიებები დაგეგმილია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„რამდენიმე დღეში ამოქმედდება უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან. 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ჩაირთვება. როგორც მოგეხსენებათ, ევროკავშირის მხრიდან ყველა საკანონმდებლო პროცედურა უკვე დასრულებულია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ სამი დღის განმავლობაში გვექნება სპეციალური ღონისძიებები — 26, 27 და 28 მარტს — ამ მოვლენას საგანგებოდ დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებები“.

უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით 28 მარტს ევროპის მოედანზე გალა კონცერტი ჩატარდება

ამის **შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საქართველოს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

მისივე თქმით, ღონისძიებების მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია და დეტალური ინფორმაცია უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

„როგორც მოგეხსენებათ, უვიზო მიმოსვლის საკითხთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებებია დაგეგმილი. 27 მარტს განახლებული თბილისის ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში ძალიან ბევრი საინტერესო ღონისძიება გაიმართება. ხოლო 28 მარტს, ევროპის მოედანზე, ჩატარდება გალა კონცერტი, სადაც ძალიან ბევრი პროგრამაა წარმოდგენილი, 27-28 მარტს ძალიან საინტერესო ღონისძიება გელოდებათ“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობა იწყება

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, სამთავრობო ქალაქში პრაქტიკულად, ყველა სამინისტრო განთავსდება.

„გადავწყვიტეთ, მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, ორთაჭალაში იმ ადგილის გვერდით, სადაც ხორციელდება ბიზნესსახლის პროექტი, გავაკეთოთ სამთავრობო ქალაქის პროექტი. ძალიან დიდი ტერიტორია გამოიყო ამისთვის, სადაც განხორციელდება სამინისტროების გადატანა. რაც, ერთი მხრივ, იქნება ძალიან კარგი, რადგან ქალაქის ცენტრში ძალიან ბევრი საოფისე თუ სასტუმროსთვის სივრცე გამოთავისუფლდება, მეორე მხრივ კი, წახალისდება სამშენებლო სექტორი. მოცულობითი სივრცის აშენება იგეგმება, სადაც არაერთი სამინისტრო განთავსდება. ორთაჭალის იმ უბანში პრაქტიკულად ყველა სამინისტრო მოიყრის თავს, ერთეული გამონაკლისის გარდა, რაც პრაქტიკულად უზრუნველყოფს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის ფიზიკური მომსახურების თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლას“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

სამინისტროები და ისტორიული შენობები

სამინისტროების **უმეტესი ნაწილი ზის ისტორიულ შენობებში, რომელთა პრივატიზაცია უნდა მოვახდინოთ,** — ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ პრემიერ-მინისტრის ახალი ინიციატივის შეფასებისას განაცხადა, რომელიც ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობას ითვალისწინებს.

„ჩვენ უნდა მივიღოთ ენერგოეფექტური შენობები. ჩვენ მრავალი ქარტიის მონაწილე ვართ, სადაც ხელი გვაქვს მოწერილი ამ მიმართულებით. ამას

რომ თავი დავანებოთ, ჩვენი სამინისტროების უმეტესი ნაწილი ზის ისტორიულ შენობებში და ქალაქის ისეთ უბნებში, რომლებიც ძალიან საინტერესოა სასტუმროს და ტურისტული მიმართულების განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ გამოვიდეთ ამ შენობებიდან და პრივატიზაცია მოვახდინოთ ამ საინტერესო ადგილების. შესაბამისად, გადავიდეთ უფრო კომპაქტურად ისეთ ადგილებზე, რომლებიც ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას მოგვცემს, იქნება ენერგოეფექტური შენობები. ასევე, თუ მთავრობა ერთ ადგილზე იქნება თავმოყრილი, ეს უბრალო მოსახლეობასაც და ბიზნესსაც ძალიან გაუადვილებს ცხოვრებას“, — განაცხადა ზურაბ ალავიძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რომ ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობა იწყება, სადაც პრაქტიკულად, ყველა სამინისტრო განთავსდება.

„ჩვენ გვყავს მაძღარი მინისტრები და მშიერი მოსახლეობა“

სამთავრობო ქალაქის მშენებლობის იდეას აკრიტიკებს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი. მისი თქმით, ხელისუფლება სრულიად მოწყვეტილია რეალობას და როდესაც მოსახლეობის 90%-ზე მეტი მძიმე სოციალურ პირობებში იმყოფება, ქვეყანაში კომპლექსების მშენებლობა დაუშვებელია.

„ეს ხელისუფლება არის რომელიღაც მწვერვალზე, არ ვიცი, ეს „ჰაწვალია“ მარტო თუ სხვა მწვერვალებზეც გადაინაცვლეს. სრულიად მოწყვეტილი არიან რეალობას და იმ დაბლობს, რასაც ქართველი ხალხი ჰქვია. დღევანდელი სოციალური სიდუხჭირის პირობებში, როდესაც, ჯანდაცვის მინისტრის მონაცემებით, მოსახლეობის ნახევარზე მეტი ღარიბია და 90 პროცენტი არის გაჭირვებული, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია რაღაცა მშენებლობის, სამთავრობო, საპარლამენტო კომფორტისთვის შეიქმნას რაღაც კომპლექსები. დღეს ყოველი თეთრი უნდა დაიხარჯოს ჩვენი თანამოქალაქეების ფიზიკურ გადარჩენაზე. ცუდია, რომ ჩვენ გვყავს მაძღარი მინისტრები და მშიერი მოსახლეობა. როცა ასეთი უკიდეგანო უფსკრული ჩნდება, ეს გადადის სოციალურ და პოლიტიკურ აფეთქებამდეც“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

თბილისსა და ქუთაისში საფეიქრო ნაწარმის ორი საწარმო გაიხსნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში ორი ახალი საწარმო თბილისსა და ქუთაისში გაიხსნება. მისი განმარტებით, ქუთაისში არაძვირფასი ლითონების მწარმოებელი, ხოლო თბილისში საფეიქრო ნაწარმის საწარმოები შეიქმნება.

„პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში კიდევ ორი ახალი საწარმოს შექმნა გამოდის დღევანდელი მთავრობის სხდომაზე. ეს გახლავთ ქუთაისში არაძვირფასი ლითონების მწარმოებელი საწარმო, რომლის შექმნისთისაც სახელმწიფო გადასცემს მიწას და პროგრამის ფარგლებში ყველა მექანიზმი ჩაირთვება. ეს გახლავთ მილიონ 360 ათასი ლარის ინვესტიცია და პროექტის სხვადასხვა ეტაპზე 60-მდე ადამიანი დასაქმდება. ასევე მეორე გახლავთ თბილისში საფეიქრო ნაწარმის საწარმო. განხორციელდება 4 მილიონ ლარამდე ინვესტიცია და პირველ ეტაპზე საწარმოში 30-მდე ადამიანი დასაქმდება“, — განაცხადა პრემიერმა.

უნდა გთხოვოთ, მაქსიმალურად გავაშუქოთ მიღწევები!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სამინისტროების წარმომადგენლებს მოუწოდა, რეგიონებში ვიზიტისას მაქსიმალურად გააშუქონ იმ საწარმოებისა და ქარხნების მუშაობა, რომელიც პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში შეიქმნა.

„აწარმოე საქართველოს ფარგლებში ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. მე მინდა გთხოვოთ ყველა სამინისტროს, რომელიც იმოგზაურებთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მაქსიმალურად გავაშუქოთ ეს მიღწევები იმიტომ, რომ ბევრმა ადამიანმა არ იცის. მინდა, გთხოვოთ, რომ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ადამიანებს და იცოდნენ ასეთი საწარმოების შესახებ“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი მღებრიშვილი იოჰანეს ჰანს შეხვდა

ბრიუსელში **სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარს იოჰანეს ჰანს შეხვდა.**

მხარეებმა საქართველოს შს სამინისტროში ბოლო წლებში გატარებულ მნიშვნელოვან რეფორმებზე, მათ შორის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით მიღწეულ პროგრესზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის წარმატებით დასრულების პროცესში შსს-ს მიერ შეტანილი წვლილი. გიორგი მღებრიშვილმა შენგენის ქვეყნებში საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის პოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და ევროკავშირს ევროინტეგრაციის პროცესში მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს მეცნიერები ეკლესიის გვერდით

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის მეასე წლისთავთან დაკავშირებით

(პირველი გვერდიდან)

ახალგაზრდა პატრიარქისათვის მთავარი პრობლემა იყო იმ ხელოვნური გაუცხოების კედლის დანგრევა, რომელიც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეკლესიასა და საზოგადოებას შორის აღიმართა. პირველი რიგის ამოცანა იყო ახალგაზრდა სასულიერო პირების კურთხევა, ფიქტიურად არსებული ეპარქიების აღორძინება. სულ მალე წმინდა სინოდის წევრთა რაოდენობა 6-დან გაიზარდა 15-მდე. 2017 წლის მონაცემებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოქმედ ეპარქიათა რიცხვია 47, წმინდა სინოდის წევრია 46 მღვდელმთავარი, 2100-ზე მეტი მოქმედი ეკლესიით და 2300-ზე მეტი სასულიერო პირით. უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ბათუმისა და ლაზეთის, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის, დმანისისა და ლორე-ტაშირის, დედოფლისწყაროსა და ჰერეთის, დასავლეთ ევროპის, გერმანიისა და ავსტრიის, ბელგიისა და ჰოლანდიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ქართული სამრევლოები და ეპარქიები, რომლებიც დაარსდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის, საინგილოს ტერიტორიაზე, ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე საქართველოდან დროებით გასული ჩვენი თანამემამულეებისათვის, რათა ისინი არ მოსწყდნენ თავიანთ მშობლიურ ფესვებს და შეინარჩუნონ სულიერი კავშირი დედასამშობლოსთან, დედა ეკლესიასთან. ,,განსაკუთრებული სიყვარულით და მხურვალე გრძნობით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსლიმანებო და ქრისტიანებო, ჩვენ სისხლითა და ხორცით ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებისა. გახსოვდეთ, რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმინდა მიწაზე, ნუ დაივიწყებთ, ვინ ხართ, გახსოვდეთ ქართული ტრადიციები. ჩვენ მარად გვახსოვხართ და დღედაღამ ვლოცულობთ თქვენთვის, ჩვენი ერის გამთლიანებისთვის“, — ამ სიტყვებით მიმართავს პატრიარქი საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ ჩვენ თანამემამულეებს.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის დამსახურებაა ჩვენი ეკლესიის მოციქულებრივი წარმომავლობის წინ წამოწევა. პატრიარქმა ჩვენი ქრისტიანობის ემბაზს — სვეტიცხოველს — დაუბრუნა თავისი ისტორიული ბრწყინვალება. აღადგინა მღვდელმთავრების და წმინდა მირონის სვეტიცხოველში კურთხევის ტრადიცია. პატრიარქის მთავარი საზრუნავი იყო ჩვენს ეკლესიას დაემკვიდრებინა ღირსეული ადგილი ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. 1917 წლის 12(25) მარტს აღდგენილ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას არ აღიარებდა მართლმადიდებელ ეკლესიათა უმრავლესობა. ჯერ კიდევ შემოქმედის ეპისკოპოსობის ჟამს, იგი აქტიურად შეუდგა თავის გარშემო ცნობილი მეცნიერების შემოკრებას და მოამზადა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მტკიცებულების დოკუმენტები, დაგზავნა ისინი ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან, ოფიციალური ვიზიტითაც ესტუმრა ყველას და მოიწვია ისინი საქართველოში. ეს მიზანმიმართული მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდა 1990 წლის 4 მარტს, როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, მისი საპატრიარქო ღირსება და ქართულ მხარეს გადმოსცა მისი მტკიცებულების სიგელი.

უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო სასულიერო განათლების აღორძინება. ჩვენი ეკლესიის წინაშე არსებულ გამოწვევებს ვეღარ პასუხობდა მცხეთის სასულიერო სემინარია. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1988 წელს მოხერხდა თბილისის სასულიერო აკადემიის დაფუძნება, რომელიც დღეს სასულიერო განათლების გამორჩეული კერაა, აკადემიამ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია, 2013 წელს მოიპოვა თეოლოგიის სფეროში სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს შექმნის უფლება. აღდგა გელათის სასულიერო აკადემია, დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია (1995 წ.), გაიხსნა ახალციხის, ნეკრესის, ფოთის, ბათუმის, გორის, სასულიერო სემინარიები. პატრიარქის ღვაწლით დაფუძნდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, წმინდა თამარ მეფის სახელობის და ხიჭაურის წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, ,,ახალი საქართველოს“ უნივერსიტეტი ქ.ფოთში.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული 70-იან წლებამდე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საეკლესიო კალენდრის გარდა თითქმის არანაირი ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნდა. უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით 1978 წელს გამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალი ,,ჯვარი ვაზისა“. ამჟამად გამოდის 100-ზე მეტი სასულიერო შინაარსის ჟურნალ-გაზეთი. 1989 წელს დაიბეჭდა თანამედროვე ქართულ ენაზე ,,ბიბლია“, ასევე სასულიერო შინაარსის მრავალი,მეცნიერულად გამართული წიგნი.

უწმინდესის სახელთანაა დაკავშირებული საეკლესიო არქიტექტურის, ქართული ხატწერის, საეკლესიო მხატვრობის, საეკლესიო გალობის, ტიხრული მინანქრის ტრადიციების აღორძინება. უწმინდესის ღვაწლით ფუნქციონირებს საპატრიარქოს რადიო ,,ივერია“ და ტელევიზია ,,ერთსულოვნება“.

უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით აღდგა ურთიერთობა საზღვარგარეთ ქართულ სამონასტრო ცენტრებთან (ათონი, პეტრიწონი, იერუსალიმი, ჯვრის მონასტერი). არაერთი ღირსეული მამულიშვილი შეირაცხა წმინდანად, მათ შორისაა ილია ჭავჭავაძე, რომელიც 1987 წელს ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისთვის შერაცხეს წმინდანად.

საქართველოს უახლეს ისტორიაში არაერთხელ დადგა ისეთი კრიტიკული მომენტები, როდესაც ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობის ჩამოშლის რეალური საფრთხე სახეზე იყო, ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხელმძღვანელობით ჩვენი ერთიანობის სიმბოლოდ და ყველა დაპირისპირებული ძალის გამაერთიანებლად მოგვევლინა. საოცრად შემწყნარებელი და მიმტევებელი პატრიარქი უკომპრომისოა, როდესაც საქმე ჩვენს სამშობლოს, ეკლესიას ეხება: ,,მკაცრი იშვიათად ვარ, მაგრამ, თუ ეს შეეხება სამშობლოსა და ეკლესიის ბედს, შეუვალი ვხდები. ღვთისა და ერის მოღალატეს მკაცრი სასჯელი შემიძლია დავადო, მაგრამ ამავე დროს, სულ ვეღოდები მისგან სინანულს და თუ მოინანიებს, მზად ვარ ყველაფერი ვაპატიო“ — ბრძანებს იგი.

გლობალიზაციის ამ ურთულეს პერიოდში თანამედროვე საქართველოს შვილებს დიდი სულიერი სიმტკიცე და ნებისყოფა სჭირდებათ. უწმინდესი გვაფრთხილებს: ,,იმის საშიშროებაც აშკარაა, რომ ჩვენი მთავარი ყურადღება მიპყრობილია ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური ეფექტების მიღწევაზე, ურთიერთობის ზნეობრივი მხარე კი დავიწყებულია“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დიდი ღვაწლით 2002 წლის 14 ოქტომბერს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმდა კონკორდატი, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს ეკლესიის იურიდიული სტატუსი, სახელმწიფომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიასა და თანამედროვე ეპოქაში.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 2004 წელს თბილისში დასრულდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რომელიც პატრიარქის სიტყვით, ,,სიმბოლურად არის გამაერთიანებელი მთელი ქართველი ხალხის. მთავარი ის არის, რომ ქართველმა ერმა ამით შექმნა ავტოპორტრეტი და ყველას უჩვენა, თუ შინაგანად როგორი ძლიერი ყოფილა“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავისი სულიერებითა და კაცთმოყვარეობით დიდად დაფასებულია მსოფლიოში, მის სიტყვას დიდი წონა აქვს როგორც პოლიტიკურ წრეებში, ასევე სხვადასხვა ქვეყნის სულიერ ლიდერებში, რაც არაერთხელ დაუდასტურებიათ მათ: ,,ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფი ხილული და ნათელია. მას მომავალი თაობები ოქროს ასოებით ჩაწერენ სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ისევე როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში“ — ასე შეაფასა ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოს I-მა უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ღვაწლი. ,, მე საქართველოში ორი სიურპრიზი დამხვდა, ერთი — თავად საქართველო, მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი ქრისტიანული რწმენით სავსე ასეთ ადგილს; ჩემი მეორე აღმოჩენა საქართველოს პატრიარქი იყო, ადამიანი უდიდესი და ძალიან ღრმა რწმენით, ის არის ღვთისკაცი. მე შემძრა პატრიარქის გაცნობამ და ეს გრძნობა მქონდა მასთან ყოველი შეხვედრისას. დავტოვე გრძნობით, რომ მე ვიპოვე ნამდვილი ღვთისკაცი“. ხოლო კავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარე შეიხ ალ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშაზადე უწმინდეს პატრიარქ ილია II-ს კავკასიის ხალხთა სულიერ ლიდერს უწოდებს...

უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანდება ქართული მეცნიერების, ინტელიგენციის დიდი ქომაგი და დამფასებელი, ქართული მეცნიერების გულისნადები კარგად გამოხატა პროფესორმა კალისტრატე სალიამ: ,,თქვენო უწმინდესობავ, თქვენ ბრძანდებთ წინამძღვარი ისტორიით დატვირთული ქართული ეკლესიისა, რომლის მეთაურთა თავს ხშირად ედგა მოწამის გვირგვინი და აკვირვებდნენ სამყაროს შეუდრეკელობით, მხნეობით, გამძლეობით, თავგანწირვით სჯულისა და სამშობლოს დასაცავად. დიდება თქვენ და იმ წმინდა გვირგვინს, რომლის ტარება ბედმა და ქართველმა ერმა მოგანდოთ“.

ხალხმა გული რომ გაგიხსნას და შეგიყვაროს, ამისათვის ღვთისგან რჩეული უნდა იყო და მადლმოსილი. ღმერთი უნდა უძღოდეს წინ საქმეებს შენსას და მისი სიყვარული გზას გინათებდეს. ჩვენს პატრიარქსაც სწორედ ღმერთი უნათებს გზას.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის ეპისტოლეში ბრძანებს: „სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მადლმოსილ პიროვნებათა წყალობით, შემდეგ ეს ნიჭი ეფინება მთელ ერს, აღამაღლებს მას. ამიტომაც პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია. არიან ადამიანები, ღვთის ნიჭით გამორჩეულნი, რომლებიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გზას უნათებენ“. დღეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ურთულესი გამოწვევების წინაშეა. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს, რომელმაც თავისი სიმშვიდით, რწმენითა და შორსმჭვრეტელობით არაერთხელ გამოიყვანა ქვეყანა და დედაეკლესია ურთულესი მდგომარეობიდან.

გიორგი კვესიტაძე, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი;
როინ მეტრეველი, აკადემიკოსი , საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;
ირაკლი ჟორდანია, აკადემიკოსი , საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი;
გიორგი ზვიადაძე, პროტოპრესვიტერი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი;
გიორგი შარვაშიძე, პროფესორი , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
არჩილ ფრანგიშვილი, აკადემიკოსი , საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი;
სერგო ვარდოსანიძე, პროფესორი , საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი;
ზურაბ ვადაჭკორია, პროფესორი , სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი;
თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი; **ფრიდონ თოდუა**, აკადემიკოსი; **ოთარ ჯაფარიძე**, აკადემიკოსი, **მარიკა ლორთქიფანიძე**, აკადემიკოსი; **ეთერ ქემერტელიძე**, აკადემიკოსი; **მზექალა შანიძე**, აკადემიკოსი; **ნანა ხაზარაძე** აკადემიკოსი; **რისმაგ გორდეზიანი**,აკადემიკოსი; **ჯონი ხეცურიანი** აკადემიკოსი; **ოთარ ნათიშვილი**, აკადემიკოსი; **ელგუჯა ხინთიბიძე**, აკადემიკოსი; **ედიშერ ჭელიძე**, პროფესორი.

ფორსირებული შეტევა საქართველოზე

2017 წლის დასაწყისიდანვე საკმაოდ სერიოზული და ფორსირებული შეტევა დაიწყო ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დროის მცირე ინტერვალებით ხორციელდება სხვადასხვა სახის პროვოკაციები, რომელთა საზოგადოებისთვის მიწოდება ყველაზე მძაფრი და მუქი ფერებით ხორციელდება, რაც მოსახლეობის მუდმივად დაძაბულ რეჟიმში და სტრესულ მდგომარეობაში ყოფნას იწვევს.

1. „რუსთავი-2“-ის „საქმე“, რომელსაც ჯერ აქციები, შემდგომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, არც თუ ისე გამართულად და გასაგებად გახმიანდა, რაც გამყარდა საკმაოდ კარგად დაგეგმილი აქციებით და იმ სატელევიზიო შოუთი, რომელზეც ნიკა გვარამიამ საქართველოზე „გამარჯვება“ გამოაცხადა.

2. ე.წ. „ციანიდის საქმე“, რომელიც ასევე განსხვავებული აქცენტებით და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებით მიდის მოსახლეობამდე.

3. ბათუმში ჩატარებული ვანდალური აქცია, რომელზეც მთავარი პასუხები ჯერ არ გაცემულა (უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების როლი, მათი აქტივობა დ.ა.შ.).

4. ე.წ. ნარკოტიკების „ჩადებები“, რომელშიც პრეზიდენტის ოჯახიც გაერია და რომლის ირგვლივაც შექმნილი ბუნდოვანება, კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას.

და ეს ყველაფერი ხორციელდება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის მეშვეობით, რომელიც როგორც შემსრულებელი, საკმაოდ კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

რაც შეეხება დამკვეთებს, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ამ ყველაფერში ლომის წილი ნაციონალურ მოძრაობას მიუძღვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ პოლიტიკური ძალის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ადვილად მივხვდებით, რომ სამოქმედო გეგმა ე.წ. „ევროპულ საქართველოში“ იწერება, ხოლო საზარბაზნე ხორცად, ნაციონალური მოძრაობის წევრები გამოდიან. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს „ევროპელი“ ქართველების „დაუთოებული“ განცხადებები

და „ერთიანი“ ნაციონალური მოძრაობის რადიკალურ-ექსტრემისტული მოწოდებები იძლევა.

რადგანაც საქართველოში ტელესივრცე მთლიანად „რუსთავი-2“-ს აქვს დაპყრობილი (ერთი-ორი გამონაკლისი გადაცემის გარდა, ხაზს ვუსვამ – არა ტელეარხები, არამედ გადაცემები), ხელისუფლებამ აქტიურად უნდა გამოიყენოს ბეჭდური მედია, რომელიც ე.წ. „პრადვინუტი პიარშიკების“ წინააღმდეგობის მიუხედავად, თავისუფლად შეძლებს საინფორმაციო სივრცეში არსებული ბერიერის გარღვევას, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაყურებელი წამიერ ემოციას განიცდის, ხოლო ნაბეჭდი სახით ინფორმაციის მიღება, მისი გადამუშავების, ჩაწვდომის და სწორი ანალიზის გაკეთების საშუალებას აძლევს.

როდესაც მოსაზრება – ტელეომის წინააღმდეგ ბეჭდური მედიის ფარად გამოყენების შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით გამოვთქვი, საზოგადოების სოციალურად აქტიური ნაწილის რამდენიმე წარმომადგენელი გამომეხმაურა და ჩემი შეხედულება გააკრიტიკა.

გააკრიტიკა იმ საბაბით, რომ **„ადამიანები ნაკლებად კითხულობენ გაზეთებს, სამწუხაროდ, ტელევიზია უფრო წვდომადი და სწრაფია ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.“ „გაზეთ-ჟურნალზე ვერ დააბრუნებ ტელეზე შემჯდარს!!! მოკლე დროში და რაც ჭრის, როცა დროში იწვები, ის უნდა ქნა“. „მე პრესას არ უარვყოფ, მაგრამ ომისას ტვ.**

არის ძალა!!! სწრაფი და ურტყამ. მერე წეროს რამდენიც უნდა „პოსლეზე“!!!“ (ტექსტების სტილი დაცულია).

კი ბატონო, ვეთანხმები ამ მოსაზრებებს. ვეთანხმები ინფორმაციის გავრცელების სისწრაფეში, მაგრამ ინფორმაცია მარტო მომხდარის გადმოცემა არ არის. ინფორმაციის ანალიზი და გადმოცემის ინტერპრეტირება გაზეთს უფრო შეუძლია.

და რადგანაც მიმდინარეობს ომი, ვიტყვი რომ ტელევიზია არის დაბომბვა, ხოლო გაზეთი ის ტანკია, რომელიც მოწინააღმდეგის თავდაცვით რკალს გაარღვევს და შეტევაზე გადავა!

ის რომ გაზეთი დიდი ძალაა, ნებისმიერი დასავლური ქვეყნის გამოცდილება გვაჩვენებს. „ნიუ-იორკ ტაიმსში“, „გარდიანში“, „მონდში“, ან „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიებს გაცილებით მეტი ძალა აქვთ, ვიდრე CNN-ზე გასულ სიუჟეტებს.

საქართველოში კი, როგორც ყველაზე უცნაურ ქვეყანაში, ყველაფერი უკუღმაა და ეს, პირველ რიგში, იმ ე.წ. „პოლიტიკანების“ დამსახურებაა, რომელთაც ურჩევნიათ, რომელიმე საინფორმაციო გამოშვებაში შესძახონ – ძირს! გაუმარჯოს! ან ვაპროტესტებ! და თავიანთი, როგორც „ხალხზე მზრუნველის როლი“ ამოწურონ, ვიდრე გაზეთის ფურცლებით ღრმა ანალიზი გააკეთონ.

რაც შეეხება ახალგაზრდობას, ისინიც თავისუფლად შეიძლება გამოიყვანო იმ უაზრო ტელეშოუებისგან, რომლებიც ყოველგვარ სისულელეს უკეთებენ პროპაგანდას.

ჟურნალები, შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებზე სწორად გათვლილი, ილუსტრირებული ჟურნალები, რომელთა შენახვაც, მეორე დღეს წაკითხვაც, მსჯელობაც და თუნდაც ლამაზი ფოტოების ამოჭრაც, ნამდვილად გადაწონის ყალბ, არაფრისმთქმელ შოუებს და ბოლოს და ბოლოს შედარების საშუალებასაც მისცემს დაინტერესებულ ახალგაზრდას.

ბეჭდური მედიის ყველაზე დიდი პრობლემა გავრცელების არეალის შეზღუდვა და ფასებია.

სწორედ ეს იყო სააკაშვილის მიერ ბეჭდურ მედიაზე განხორციელებული დარტყმის მთავარი მიზეზი. მისი ფრაზა – მე ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობო, დღესაც „აქტუალურია“ ფსევდოდასავლურად მოაზროვნე, „ფსევდოპიარშჩიკებში“, რომლებსაც მათ მიმართ არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებული ხელისუფლების წარმომადგენლები რატომღაც უსმენენ და სჯერათ.

ხელისუფლების და კონკრეტულად პრემიერ-მინისტრის აქტიური კონსულტაციები წამყვანი გაზეთების წარმომადგენლებთან, უდავოდ გამოიღებს შედეგს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ნაბიჯები ჯერჯერობით არ გადადგმულა.

ახლა კი მინდა, შევეხო იმ პრობლემებს, რომლებიც გასული რამდენიმე დღის განმავლობაში წარმოჩინდა.

როდესაც ვუსმენ საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის განხილვას და ათასი ჯურის „ექსპერტის“ და „პოლიტიკოსის“ მხრიდან გაკეთებულ შეფასებებს, თუ გამოთქმულ მოსაზრებებს, ბრაზი მერევა. ბრაზი მერევა, რადგან არც ერთხელ არავის წამოცდენია არჩეული პირის გამოწვევაზე პატარა წაკნავლებაც კი! უმთავრესი აქცენტები არა „შეუმდგარი“ პარლამენტარის და ბალასტის, უმთავრესი საკანონმდებლო ორგანოდან მოცილებაზე კი არა, ბარიერის დაწევასა და ე.წ. „დარჩენილი პროცენტების“ „სამართლიანად“ გადანაწილებაზე კეთდება.

აბსოლუტირად მართალი იყო კონსტანტინე გამსახურდია, როდესაც გიორგი პირველს ათქმევინა – „ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა“!

სანამ კონსტიტუციაში არჩეული პირის გამოწვევის მუხლი არ იქნება, რაც არ უნდა „აშლიფოვკოთ“ და ვენეციის ლაგუნაში აჭყუმპალაოთ, არანაირი დემოკრატია არ დამყარდება.

სამწუხაროდ, ამ მუხლს არც ერთი დეპუტატი არ დაუჭერს მხარს. მით უმეტეს პრეზიდენტი, რომელმაც „ერთი აბოიმა ვეტო უკვე დაცალა და ახლა ახალ რაჟოკს ჩალიჩობს“.

ამიტომ ჩემი თხოვნა იქნება, ნუ დაახრიგინებენ ამ კონსტიტუციის პროექტს წაღმა-უკუღმა, ყდა არ შემოაცვდეს.

და ყველაზე ტრაგიკული თემა, რომელიც მუდამ იყო შიშის და აღშფოთების საგანი, ავტოკატასტროფებში დაღუპულთა რიცხვია. ორი დღეს წინათ მომხდარმა საშინელმა შემთხვევამ, თერთმეტი წლის გოგონას სიცოცხლე შეიწირა. ბავშვი დედასთან ერთად ავტობუსის გაჩერებაზე იდგა და სკოლაში მიდიოდა.

სწორედ იმ ტრაგედიამ, რომელიც საქართველოს გზებზეა გამეფებული, გადამაწყვეტინა ამ მკაცრი განცხადების გაკეთება:

წესრიგის დამრღვევი მძღოლები გამოცხადდნენ ტერორისტებად!

მათი მოძრაობა ქალაქში – ტერორისტულ აქტად!

ისინი, ვინც ავტომობილი უყიდა, ტერორისტებისთვის იარაღის მიმწოდებლებად!

მათზე ხელის დამფარებლები საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ხელისშემწყობებად და სამშობლოს მოღალატეებად!

ბოლოს და ბოლოს, დროა, რომ ხელისუფლება მიწაზე ჩამოფრინდეს და იმ რეალურ პრობლემებს მიხედოს, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობა ყოველ დღე აწყდება, თორემ ტელეეთერებიდან მსოფლიო ბანკის რეიტინგების მიწოდება და 5.2%-იანი ეკონომიკური ზრდით ტრაბახი, მოქალაქეების ცხოვრების პირობებისთვის აბსოლუტურად არაფერს ცვლის.



გია გაბრიჭიძე

სინოდის წევრები არ დაიკითხებიან

საძალაძე სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მამალაძის ადვოკატის მიხეილ რამიშვილის განცხადებით, შუამდგომლობის საფუძველი იყო ირაკლი მამალაძის ჩვენებები, რომლებშიც მრავლად არიან მოხსენიებული წმინდა სინოდის წევრები და აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლემ დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა:

„შუამდგომლობის საფუძველი იყო შემდგომი გარემოება, რომ საქმეში მოწმეების, ამ შემთხვევაში ირაკლი მამალაძის ჩვენებაში მრავლად არიან მოხსენებული წმინდა სინოდის წევრები გარკვეულ დაპირისპირებულ ჯგუფებად. აქედან გამომდინარე, გვაინტერესებდა, რამდენად შეეფერება რეალობას ირაკლი მამალაძის ჩვენება და მოვითხოვეთ წმინდა სინოდის წევრების გამოკითხვა. ეს მოგეხსენებათ არ არის რიგითი საქმე, ეს საქმე ეხება საპატრიარქოს და წმინდა სინოდის წევრებს.

მოსამართლეს გამოყენებული აქვთ საერთაშორისო კონვენციის მუხლები, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომლებიც ჩვენც გვქონდა გამო-

ყენებული და ამით ვადასტურებდით, რატომ იყო საეჭვოდებულო გამოკითხვა. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, ეს არის შერჩევითი სამართალი. პროკურატურის ყველა შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ხოლო ჩვენი არც ერთი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ არის“, – განაცხადა ადვოკატმა.

რამიშვილის თქმით, ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში 24 საათში უნდა გაასაჩივრონ.

როგორ მოხვდა „იგლა“ სომხეთში?

შს მინისტრი სომხეთში აღმოჩენილ საზენიტო კომპლექს „იგლასთან“ დაკავშირებით, პირველ კომენტარს აკეთებს. გიორგი მღებრიშვილი გამოძიებაზე და ახალ ვერსიებზე საუბრობს.

„ასე გადაჭრით არ შეიძლება თქმა, რომ ტრანზიტად საქართველოს გავლით შევიდა სომხეთში. კი ბატონო, შეიძლება ისინი ამას ამბობენ, მაგრამ ჩვენ დეტალებს ვარკვევთ და აუცილებლად საზოგადოებას ვამცნობთ ამის შესახებ,“ – განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სომხურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც კომპლექსი ქვეყანაში საქართველოს გავლით, არალეგალურად მოხვდა.

რატომ მფარველობენ ქვეყნის მთავრობა, სამართალდამცავი ორგანოები და „ბანკი ქართუ“ ღაჭავა-კოდუას კლანს?!

2007 წლის თებერვალში სასტუმრო „საქართველოს“ შენობაში განთავსებულ ს/ს „მასპინძელსა“ და შპს „მასვალოში“, რომელთა აქციონერები და დამფუძნებლები შპს „საქართველოს“ პარტნიორები იყვნენ, ფინანსური პოლიცია, სოდ-თან ერთად შევიდა და რვა თვის განმავლობაში ამ კომპანიების საქმიანობა პარალიზებული იყო.

პარალელურად, 2007 წლის ზაფხულიდან სასტუმრო „საქართველოს“ მყიდველებად მოევლინნენ სოდ-ის მაშინდელი ხელმძღვანელის ერეკლე კოდუას დედა ლაურა ღაჭავა და ძმა დავით კოდუა, რომლებიც „პოტენციური მყიდველის“ სტატუსით მოქმედებდნენ. ისინი ასევე ხელმძღვანელობდნენ სასტუმრო „აფხაზეთის“ შენობის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის ოპერაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. ღაჭავა შპს „საქართველოში“ წილის მფლობელად 2010 წლის იანვარში დარეგისტრირდა, მანამდე, ანუ 2.5 წლის განმავლობაში მან და მისმა შვილმა დავით კოდუამ ხელთ იგდეს რა შპს „საქართველოს“ მართვის სადავეები, დაიწყეს მოქმედება იძულების გზით კომპანიის მართვის საკონტროლო პაკეტის ხელში ჩასაგდებად. დაიჭირეს შპს „საქართველოს“ ხელმძღვანელები, აკავებდნენ დამფუძნებელ პარტნიორთა ოჯახის წევრებს, ახორციელებდნენ მათზე ზეწოლას. ძალადობის მასშტაბზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შპს „საქართველოს“ ბუღალტერი ვაჟა ოთიურიძე ფინანსურ პოლიციაში დაკითხვის შემდეგ ინსულტით გარდაიცვალა.

ოჯახურმა კლანმა პარტნიორები აიძულა მის სასარგებლოდ დაეთმოთ წილი და მიაღწია კიდეც მიზანს — ხელთ იგდო შპს „საქართველოს“ მართვის საკონტროლო პაკეტი.

ლ. ღაჭავამ და დ. კოდუამ 2008 წლის ნოემბრიდან მიაღწიეს შპს „საქართველოს“ ხელმძღვანელებად თავისი კადრის დანიშვნას, რის შემდეგაც დაიწყო კომპანიის ქონების მიტაცების, განიავებისა და ფინანსური პრობლემების წარმოქმნის პროცესი. დაგროვდა რა მანამდე არსებული სხვადასხვა სახის ფინანსური ვალდებულებები, რომლის ვითომდა დასაფარავად დემპინგურ ფასებში გაიყიდა შპს „საქართველოს“ რესტორნის 300 კვ.მ. ფართი (ანტრესოლთან ერთად) და ს/ს „მასპინძლის“ 3,69-პროცენტიანი წილი. ამ ჯგუფმა მიიტაცა შპს „მასვალოს“ ბალანსზე რიცხული რამდენიმე მილიონი ქონება (ინვენტარი, ტექნიკა).

თითქმის ათი წლის განმავლობაში ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფმა გ. ახრახაძემ საჯარო რეესტრში შეიტყო, რომ 2013 წლის 12 ნოემბერს, შპს „საქართველოს“ კუთვნილი შენობა მიწის ნაკვეთთან ერთად ლ. ღაჭავას ერთპიროვნული, სხვა პარტნიორებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით მთლიანად დაიტვირთა იპოთეკით ს/ს „ქართუ ბანკიდან“ კრედიტის სახით მიღებული 8,5 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ.

შემდგომში ამ საკითხზე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში 6 პროცესი შედგა და მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს პრინციპული პოზიციის წყალობით დაიბლოკა სასტუმრო „საქართველოს“ შენობის აუქციონზე გატანა და გასხვისება. ამ პროცესებში გამოიკვეთა სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი მუშაკის ტენდენციური პოზიცია, რაც ეჭვს ბადებს, რომ მათზე ხელისუფლების მხრიდანაც ხორციელდებოდა ზეწოლა.

კრედიტის აღების შემდეგ, ლ. ღაჭავამ, „ბანკი ქართუს“ ხელშეწყობით ამავე ბანკთან გააფორმა მოთხოვნის დათმობის (ცეესის) ხელშეკრულება, რომელიც საშუალებას აძლევდა მას „ბანკი ქართუში“ იპოთეკის დატვირთული საკუთარი ქონება, რომელიც მისივე კომპანიის შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის“ სახელზე ირიცხებოდა, გამოესყიდა შპს „საქართველოს“ იპოთეკით დატვირთული ქონების ბანკში ჩატოვებით, მაშინ, როდესაც შპს „საქართველოს“ თავისი ქონების იპოთეკით დატვირთვის საფუძველზე მიღებული კრედიტიდან ერთი თეთრიც კი არ მოხმარებია მის ინტერესებს.

ამ თაღლითურ გარიგებაზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ დღემდე იგი ადგილიდან არ იძვრის.

გასაგებია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ლ. ღაჭავა და დ. კოდუა სარგებლობდნენ განუსაზღვრელი მხარდაჭერით და ამას კარგადაც იყენებდნენ საკუთარი დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად, მაგრამ გაუგებარია ახალი ხელისუფლების პირობებში, რატომ არავინ სთხოვს მათ პასუხს ჩადენილი მრავალი დანაშაულისთვის და კიდევ უფრო გაუგებარია, რომ ამ ოჯახურ კლანს დღესაც არ აკლია მხარდაჭერა, რაც თვითნებობისა და ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს მათ.

მაგალითად, გურამ ახრახაძე 2009 წლიდან ითხოვს, რომ მიიღოს სასტუმრო „საქართველოს“ შენობაში თავისი წილის შესაბამისი ფართობი ნატურით, ან ტოლფასი კომერციული ფართობი ღაჭავა-კოდუას საკუთრებაში არსებულ სხვა ობიექტებში. სამწუხაროდ, ეს ოჯახი არ ღალატობს ტრადიციას და ახალი ხელისუფლების პირობებშიც აგრძელებს ჩვეულ ქმედებებს, ცდილობს, რომ გ. ახრახაძე დათანხმდეს მისთვის მიუღებელ წინადადებას, უსასრულოდ ცვლის შეთანხმების პირობებს, აჭიანურებს სადავო საკითხის გადაწყვეტას, განმკითხავი კი არავინაა.

ერთი სიტყვით, ღაჭავა-კოდუას კლანი ჩვეულ სტიქიაშია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მათ პარპაშს არც არავინ აღუდგება წინ, რაც ძალზე სამწუხაროა და სამართლიანობის აღდგენის მომხრეთა იმედგაცრუებას იწვევს.

გუგაზ მეგრელიძე

სახელმწიფო მეწველი ძროხა ჰგონიათ, ანუ სახელფასო პოლიტიკა და ეკონომიკის გამოწვევები

2016 წელი, ხელისუფლების მიერ სახელფასო და პრემიის გაცემის თვალსაზრისით, არ უპასუხებდა საქართველოს ეკონომიკის გამოწვევებს საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიასთან დაკავშირებით. ამას მოწმობს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია 2016 წელს სახელმწიფო რწმუნებულების — გუბერნატორების — ადმინისტრაციებში გაცემული შრომის ანაზღაურების, პრემიისა და სახელფასო დანამატის შესახებ, ასევე, ინფორმაცია საწვავის შესაძენად გაწეულ ხარჯებზე.

ამ ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, სახელმწიფო რწმუნებულების — გუბერნატორების — ადმინისტრაციებში გაცემული პრემიისა და სახელფასო დანამატის რაოდენობა გაზრდილია: 2015 წელს 1 მილიარდ 114 928.69 ლარი გაიცა (პრემია — 463 817.5 ლარი, სახელფასო დანამატი — 680 111.19 ლარი), 2016 წელს კი — 1 მილიარდ 363 948.61 ლარი (პრემია — 395 437 ლარი, სახელფასო დანამატი-968 511.61 ლარი);

2015 წლის მსგავსად, სახელფასო დანამატი ყველა სამხარეო ადმინისტრაციაში ყოველთვე გაიცემოდა და მისი მოცულობა საგრძნობლად იყო გაზრდილი, პრემიის გაცემის სიხშირე და რაოდენობა კი, წინა წლებთან შედარებით, მცირედით შემცირებული გახლდათ: 2016 წელს პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხა, 65 415 ლარის ოდენობით, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიცა.

2016 წელს სახელფასო დანამატის სახით ყველაზე დიდი თანხა გაიცა სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციაში — 204 ათას 183 ლარის ოდენობით. 2015 წელს გაცემული სახელფასო დანამატის მაჩვენებლითაც პირველ ადგილზე სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციაა (167 ათას 712 ლარი).

2016 წელს ყველა გუბერნატორი ყოველთვე იღებდა შრომის ანაზღაურების ოდენობის სახელფასო დანამატს, პრემია კი იმერეთის გუბერნატორის გივი ჭიჭინაძის გარდა, არცერთ გუბერნატორს არ აუღია.

აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის სახელფასო ანაზღაურება, სხვა გუბერნატორებისაგან განსხვავებით, 2 350 ლარს შეადგენს, გუბერნატორი პარმენ მარგველანი ყოველთვიურად ამ ოდენობის სახელფასო დანამატსაც იღებდა.

გურიის, იმერეთისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის — ადმინისტრაციებმა ორგანიზაციას არ მიაწოდეს ინფორმაცია 2016 წელს გახარჯული საწვავის მოცულობის შესახებ — მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ შესყიდული საწვავის ღირებულებას შეიცავდა. შესაბამისად, კვლევაში მხოლოდ შესყიდული საწვავის შესახებ მონაცემია სრულყოფილად წარმოდგენილი, რომლის მთლიანმა ღირებულებამ 388 ათას 939 ლარი შეადგინა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის გუბერნიების მიერ, ჯამში, დაახლოებით, 185 ათას ლიტრი საწვავი იქნა შესყიდული.

ყველაზე მეტი მოცულობის თანხა საწვავის შესაძენად სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიაში იქნა გახარჯული — მისმა მოცულობამ 69 307 ლარი შეადგინა.

გუბერნატორებისათვის თვის მანძილზე განსაზღვრული საწვავის ლიმიტი განსხვავებულია და იგი 500 ლიტრიდან 1 500 ლიტრამდე მერყეობს. იმერეთის გუბერნატორს საწვავის კონკრეტული ლიმიტი არა აქვს დაწესებული. გუბერნატორებს შორის საწვავის ყველაზე დიდი ლიმიტით (ერთ თვეზე საშუალოდ 1 500 ლიტრი), სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია სარგებლობს.

ეს ნაწილია იმ კვლევისა, რომელიც ხელისუფლებაში ხელფასის, დანამატისა და პრემიის გაცემის პრაქტიკას შეისწავლის. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით სიტუაცია კვლავ უცვლელადაა დარჩენილი. იმის პროგნოზირება, შეიცვლება თუ არა ეს ტენდენცია 2017 წელს, როცა საბიუჯეტო დანაზოგების გასაკეთებლად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე უარის თქმაც კი გახდა საჭირო, დღესაც შეიძლება, თუმცა 2017 წლის მიმდინარე მონაცემები ამ კითხვას სულ მალე უფრო ზუსტად უპასუხებს.

ნინო სიხარულიძე

ისმეთ დინდარ-მიქელაძე - ანდეთ მას თქვენი გულები!

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

XX საუკუნეში, როცა გაზეთებს ბევრი მკითხველი ჰყავდა, „საქართველოს რესპუბლიკას“ ერთი კარგი რუბრიკა ჰქონდა — სიტყვა კოლეგაზე. ეს ახლა გამახსენდა, როცა ერთ კარგ კაცსა და პროფესიონალზე, ისმეთ დინდარ-მიქელაძეზე მინდა მოგითხროთ. მე იგი 12 წლის წინათ გავიცანი და ამ ხნის განმავლობაში მის გვერდით ვყოფილვარ, როგორც მეგობარი, როგორც კოლეგა და როგორც პაციენტიც. ეს გარეგნულად გამორჩეული, ახოვანი კაცი პირველი შეხვედრისთანავე მიიქცევს თქვენს ყურადღებას თავისი მონდომებული ქართულით. იგი ძირძველი ქართველია, მიქელაძეების დიდი გვარის წარმომადგენელი და მის წინაპრებს 130 წლის წინათ დაუტოვებიათ აქაურობა. დინდარ ბეის (როგორც მას ახლობლები ვეძახით) უკვე ისტორიული სამშობლოს მონახულება ამ ოცდაათი წლის წინათ მოუხერხებია, როცა უკვე შემდგარმა ექიმმა და პერსპექტიულმა კარდიოლოგმა ნახა საბჭოთა ტიპის სამედიცინო დაწესებულებები, დარწმუნდა, თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს ასე ვერ გავყვებოდით და ჯერ კიდევ მაშინ, დაიწყო ფიქრი — საქართველოში თანამედროვე ტიპის სამედიცინო კლინიკა გაეკეთებინა. მოგეხსენებათ, ეს ურთულესი საქმეა და წლების მანძილზე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა ამ მიზნისკენ.

2012 წელს დააფუძნა შპს „BROTHERS“. 2015 წელს შპს „BROTHERS“-ის კუთნილი შენობის ერთ-ერთ კორპუსში გაიხსნა საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულება შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი — ბათუმი“, აღნიშნული დაწესებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ქსელში მყოფი სასწავლებელია, „ბაუ გლობალი“ სამი კონტინენტის შვიდ ქვეყანაში აერთიანებს ოთხ უნივერსიტეტს, ენის ორ სკოლას და ხუთ საუნივერსიტეტო კამპუსს. „ბაუ გლობალს“ უნივერსიტეტები აქვს მსოფლიოს წამყვან ქალაქებში, კერძოდ, სტამბოლში, ვაშინგტონში, ბერლინში და რაც ყველაზე მთავარია, „ბაუ გლობალის“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება — სამედიცინო უნივერსიტეტი გაიხსნა საქართველოშიც, ქ. ბათუმში, რაც ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მონაპოვარია. მე საშუალება მქონდა, ისმეთ დინდარის ნაბიჯებისთვის ქართულ მიწაზე თვალყური მედევნებინა, რადგან მისი გულშემატკივარი გახლავარ, ვხედავდი, ამ ადამიანის თავდაუზოდავ შრომასა და მოწადინებას.

2016 წლის თებერვალში მომსწრენი გავხდით ისმეთ დინდარის დიდი წარმატების — გაიხსნა შპს „BROTHERS“-ის „ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“. ვინაიდან დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა საავადმყოფოს შენობაშივე არსებულ „ბაუ გლობალის“ წევრ უნივერსიტეტთან, შესაბამისად, საავადმყოფომ მოიპოვა საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის სტატუსი, აღიჭურვა უახლესი სამედიცინო დანადგარებით, კადრები კი ძირითადად ქართველი მედპერსონალით დააკომპლექტა. ასევე უცხოეთიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური ექიმები აქ ურთულეს ოპერაციებს აკეთებენ და საქართველოს მოქალაქეებს თუ უცხოელ პაციენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მაღალი სტანდარტის სამედიცინო მომსახურება. კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი და მახსოვს ისმეთ დინდარის პირველი კომენტარიც:

მეგობრები — ისმეთ დინდარ-მიქელაძე, გელა მუხაშავრია

მე საქართველოში კონკურენციისთვის არ მოვდივარ, ყველა კლინიკა ხარისხიანად უნდა ემსახურებოდეს თავის ხალხს. მე, პირადად, სადაც საჭიროა, იქ ვიქნები. ვიცით, რომ ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებს აქვს პრობლემები, მომსახურების სტანდარტები უნდა ამაღლდეს, „გაიხსნას გზები საზღვარგარეთ“ გაიცვალოს ინფორმაციები და გაღრმავდეს კონტაქტები. ვიმედოვნებ, რომ ჩემი სასწავლებელი ამ საქმეში თავის სიტყვას იტყვის. დამერწმუნებით, ეს ღირსეული კაცის სიტყვებია და მისი საქართველოში მოღვაწეობაც ამ დამოკიდებულებით წარიმართა. აღიარებამაც არ დააყოვნა, გასულ წელს „ექიმთა ლიგამ“ კარდიოლოგ ისმეთ დინდარ-მიქელაძეს „საუკუნის ექიმის“ წოდება მიანიჭა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ დაჯილდოებისას განაცხადა: ისმეთ დინდარი არის პიროვნება, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ის განსაკუთრებით ეხმარებოდა ქართველ პაციენტებს, რომლებიც სამკურნალოდ თურქეთში მიდიოდნენ. იგი ჩართულია ძალიან ბევრ პროექტში, რომელიც ემსახურება სახალხო დიპლომატიას.

სამწუხაროდ, კეთილ საქმეს გამოუჩნდება ხოლმე მერკანტილური ინტერესებით განწყობილი ადამიანები და ვერც ბატონი დინდარი ასცდა ამგვარ „თავგადასავალს“, დეტალებზე აღარ ვისაუბრებ, მე ეს პატარა, მტაცებელი კაცუნების „მოღვაწეობა“ მგონია და მჯერა, სადაც ისმეთ დინდარ-მიქელაძეა, იქ ფინანსურ პრობლემებზე და პირად კეთილდღეობაზე ლაპარაკი საჩოთიროა. ბოლო დროს გამოჩნდნენ ამ სასიკეთო საქმის ხელში დაუმსახურებლად ჩაგდების მსურველები და ცდილობენ, წყალი აუმღვრიონ მართლაც საშვილიშვილო საქმის მოსურნეს. როგორც ბატონმა დინდარმა მითხრა, სრულიად მარტო რომ დავრჩე, ბოლომდე ვიბრძოლებ, არ დავნებდები, მე ისტორიულ სამშობლოში სასარგებლო საქმის საკეთებლად ჩამოვედი. ამ საუნივერსიტეტო კლინიკის დაარსებით, რომლის რექტორიც გახლავარ, მიზნად ვისახავ აღვზარდო კვალიფიციური კადრები და 10 წლის შემდეგ ოთხმოცამდე ექიმი თანამედროვე სამედიცინო განათლებით საქართველოს კლინიკებს უნდა დავუბრუნო!

დინდარ ისმეთზე სხვაც ბევრის თქმა შემიძლია, მაგრამ პიროვნულ თვისებებსა და ღირსებებზე საუბარს სხვა დროისთვის შემოვინახავ.

მაღალი დონის კარდიოლოგი, ქართული საქმის საკეთებლად გულანთებული, ძირძველი ქართული გვარის მიქელაძეების შთამომავალი ისმეთ დინდარი ის კაცია, რომელსაც გულს ანდობ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით და გული არ დაგწყდება!!! ახლა მას ხელოვნურად შექმნილი ბარიერები აქვს გადასალახი და მჯერა, ყველა ვალდებული თუ დაინტერესებული პირი კანონიერ შეფასებას მისცემს მის დაწყებულ საქმეს!

დინდარ ისმეთ-მიქელაძეს კი დიდი ვაჟას სიტყვები მინდა შევახსენო —„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“!

გელა მუხაშავრია,
საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ცენტრის დირექტორი, კოლოპროქტოლოგიის ასოციაციის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ვერტმფრენით ომალოში

ომალოში კვირაში ერთხელ ვერტმფრენი იფრენს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„რამდენიმე დღის წინათ აღვნიშნეთ მესაზღვრის დღე. კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ჩვენს მესაზღვრეებს ეს დღესასწაული. მესაზღვრეები არიან ადამიანები, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე საპატიო პროფესიას ემსახურებიან — საქართველოს ყველა მოქალაქის უსაფრთხოების დაცვას.

მათ ძალიან რთულ პირობებში უწევთ სამსახური. მე გახლდით ომალოს სასაზღვრო პუნქტზე, სადაც მივულოცე მესაზღვრეებს პროფესიული დღე. მინდა, დავავალო შსს-ს, რომ სანამ გზა გაიხსნება, ანუ თოვლის დადნობამდე და სახმელეთო გზის სრულად ამოქმედებამდე, კვირაში ერთი ფრენა განახორციელონ სასაზღვრო ვერტმფრენით იმისთვის, რომ არა მარტო მესაზღვრეებმა, არამედ იქ დარჩენილმა ადამიანებმა იგრძნონ კავშირი დანარჩენ საქართველოსთან. ეს არის ძალიან რთული რეგიონი. აქვე ვიტყვი, რომ მესაზღვრეებს ნამდვილად არ აკლიათ ყურადღება, არ მინდა ვინმემ ჩათვალოს, რომ არის რაღაც კუთხით შენიშვნა. იქ საკმაოდ კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა, თუმცა დამატებით საჭიროა კავშირის განხორციელება ვერტმფრენით. ფინანსთა სამინისტროს მინდა დავავალო, რომ მოიძიოს ამისთვის სახსრები, ეს შესაძლებელია. ასევე მინდა, ინფრასტრუქტურის სამინისტროს დავავალო, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს და იმ რეგიონის მაცხოვრებლებს, რომელთაც ზამთარში აქვთ სხვადასხვა საჭიროებები, ვერტმფრენის მეშვეობით ამ კუთხითაც დავეხმაროთ. კვირაში ერთი ფრენა ომალოში აუცილებელი წესით უნდა განხორციელდეს. ეს იქნება სასაზღვრო ვერტმფრენი, რომელიც მოემსახურება როგორც მესაზღვრეებს, ასევე იქ მცხოვრებ ადამიანებს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



აჭარაში გიდების გადამზადება იწყება

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოში გიდებისთვის ტრენინგები იწყება. მთიანი აჭარის ტურისტულ მარშრუტებზე გადამზადების მსურველთა რეგისტრაცია სააგენტოში 5 აპრილამდე გაგრძელდება. ტრენინგების ფარგლებში 60 გიდის გადამზადება მთიანი აჭარის 4 ტურისტული მიმართულებით იგეგმება.

მაჭახელას მარშრუტი+მაჭახელას დაცული ტერიტორია,

ქედის ღვინის მარშრუტი+მერისის მარშრუტი,

მაღალმთიანი აჭარა — ჩირუხის მარშრუტი, სხალთა — ხიხანის მარშრუტი, ხულო,

გოდერძი — მწვანე ტბის მარშრუტი,

დაცული ტერიტოერიები: კინტრიში, მტირალა, ისპანი +ფრინველებზე დაკვირვება,

(სახალვაშო- შუამთა).

ტრენინგების საშუალო ხანგძლივობა ორი კვირაა. ის მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სალექციო პროგრამას, რომელიც როგორც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში ასევე, უშუალოდ ტურისტულ მარშრუტებზე ჩატარდება. ტრენინგებს პროფესიონალი ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და ექსკურსიამძღოლები ჩაატარებენ.

სატრენინგო პროგრამაში ჩართვა მოქმედი გიდების გარდა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია..

არაბულ შეგონებად: მომავლის ადამიანი

ამ გადმოსახედიდან სულ სხვაგვარად წარმოჩნდებოდა ყველაფერი და ჭეშმარიტებაც ისე აელვარდებოდა, აღარ უნდა გაგვძნელებოდა იმისი შემჩნევა და შეთვისება, რომ:

სიცოცხლის ფასი ხალხის გულში დათესილი სიყვარულია, რომლის ნაყოფიც ჩვენვე გვიბრუნდება.

სიცოცხლის ფასი ის უკვდავი, ქველი საქმენია, ყოველი ჩვენგანი რომ აღასრულებს.

როდესაც ამინ არ-რეიჰანი დაუკავირდებოდა თანადროულ სიცოცხლეს — მეცნიერისა იქნებოდა თუ ვაჭრის, საკულტო მსახურისა თუ გლეხის — შეაფასებდა როგორც არასრულფასოვანს, შეჭირვებულს, ბეცსა და უვარგისს, და ასევე მოიხსენიებდა მის შედეგებსაც.

და მართლაც:

რამდენი ქმედება არსებობდა, გულწრფელობით რომ გამოირჩეოდა, მაგრამ არაფერი გააჩნდა გონებისმიერი!..

და რამდენ საქციელს მივიჩნევდით გონივრულად, მაგრამ მასში გულწრფელობას კი ვერ ვპოვებდით.

და კიდევ რამდენი საქციელი მოგვხიბლავდა სიმამაცითა და გულადობით, მაგრამ... თან თავხედობა და კადნიერებაც რომ ახლდა?!. თანაც მასში გონიერებისა და გულწრფელობის ნატამალიც არ მოიძევებოდა.

ეს განსჯა იმ ესეიშია ჩართული: „სიცოცხლის ფასი“ — ინგა ზურაბიშვილის მეოხებით რომ ვეზიარებოდით, და საჯაროდ კი სიდონში წარმოითქმოდა 1910 წლის 11 მარტს, ეროვნული სამსახურის ასოციაციის ზეიმზე. სწორედ სიდონი აღმოჩნდებოდა გადამწყვეტი მწერლისათვის, ძალზე დაკავებული რომ გახლდათ და მგზავრობის სამზადისი დამატებით საზრუნავ-საწუხარს გაუჩენდა.

გადამწყვეტი სიდონი რატომ?

ერთ წიგნს ამთავრებდა და მის ზოგიერთ თავში თავიანთი წინაპრების — ფინიკიელთა — მოხსენიებისას გაახარებდა მათი სიდონელი მოქალაქეების მონდომებისა და ენერგიის დანახვა. გაახარებდა ცოდნისა და შემეცნების ანთებული შუქურები ამ ძველ სანაპიროებზე, რომლის მიწაზეც ენა გაჩნდებოდა და რომლის წიაღშიც ფინიკიელის კომერციული და ინტელექტუალური ენერგია გაიზრდებოდა.

ეს ადგილები მოიტანდა სასწაულებს ბრწყინვალე აზროვნებისა, საკვირველებებს აღმოჩენებისა და გამოგონებებისა, რაც დღესაც განაცვიფრებდათ ევროპელებს.

გაახარებდა შეხება იმ კეთილშობილი წინაპრების სულთან, რომელიც დღესაც ვრცელდებოდა მის სამშობლოში და ცისკენ ამაღლებდათ; და გააოცებდა მოვლენათა შემთხვევითი განვითარება, რაც მის სანუკვარ ოცნებას ასე კანთიელად გაუთვალსაჩინოებდა.

უფალი ხომ გვაძლევდა იმის საშუალებას, რაც ჩვენ გვესაჭიროებოდა სიცოცხლის დაფარული ძალებიდან, კიდეც გამოგვეყენებინა ჩვენივ სიკეთისათვის და ვმდგარიყავით მოთმინებით, მშვიდად და მტკიცედ ყოფიერების საშინელი თუ სასიხარულო გამოწვევების წინაშე.

მწერალს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს საიდუმლოებანი ცხადი ხდებოდა ადამიანისათვის თანდათანობით, მისი გონებრივი და სულიერი განვითარების შესაფერისად.

სიცოცხლე კიბეაო, — თითქოს ბანალურ შედარებას გამოიყენებდა ამინ არ-რეიჰანი, მაგრამ ამ სიმბოლოს სულ სხვა შინაარსითა და სიღრმით აღავსებდა, როდესაც მის დასაწყის საფეხურებს ცხოველთან გააიგივებდა, შუას — ადამიანთან და ზევითას კი — ანგელოსთან.

და იმედოვნებდა, რომ შესაძლოა, დამდგარიყო დღე, ოდეს დედამიწის მკვიდრნი მოესწრებოდნენ მომავლის ადამიანს, დიადს, რომელშიც შესაძლოა, ამაღლებულიყო ყველა სასიცოცხლო ძალა — ანუ ცხოველური, ადამიანური და ღვთაებრივი — უმაღლეს საფეხურამდე.

— ადამიანი შედგენილია ამ სამივესგან, რომლის ძალებიც პოტენციურად არსებობს მასში სამუდამოდ, და თუ ის ერთ-ერთ მათგანზე იზრუნებს მეორის გარეშე, იდგება ევოლუციის კიბეზე და მისი სასიცოცხლო ბუნება იქნება ნაკლული და უვარგისი.

არ-რეიჰანი ევოლუციონისტად რაცხდა თავს, ოღონდ მოინდომებდა, მოერიგებინა ევოლუციის თეორია უფლის კანონებთან, და მტკიცებას მოჰყვებოდა: ნამდვილად ვხედავ სახეობათა ევოლუციაში დიად, ღვთაებრივ განგებულებას და ბუნების კანონი, რომელსაც მეცნიერები ხშირად ახსენებენ, მხოლოდ ღვთის ნების განსახიერებაა საგნებშიო.

იგი ნამდვილად ხედავდა ღვთის ხელს სიცოცხლის ყოველ მოვლენაში და იმედოვნებდა, რომ დაინახავდა — თუნდ მისი სიკვდილიდან მილიონი წლის შემდგომ — ადამიანის სულს, ხორცშესხმულს ღვთის ყოველ გამოვლინებაში.

მთავარი არ-რეიჰანის განსჯა-შეხედულებებში ზნეობრივი კანონია, ამოზრდილი ღვთიურ განგებულებაზე, ამ სულისკვეთებით რომ ესწრაფის მკითხველის განმსჭვალვასაც, თორემ ევოლუციის თეორიისა და სამყაროს შექმნის ღვთაებრივ მოდელს ვერაფრისდიდებით ვერ შეუთანადებ ერთიმეორეს და ამგვარი ძალდატანება ისევე დაგაყენებს მარცხის წინაშე, რაც ლევ ტოლსტოის ეწვნია ქრისტიანობისა და სოციალიზმის ამაო გამთლიანების მცდელობისას. მით უმეტეს, რომ მთელ რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობას შექმნიდა და უამრავ ადამიანსაც ჩაითრევდა ამ გაუგებრობაში და აურევდა თავგზას.

არ-რეიჰანის შეცოდება ამ მხრივ ბევრად უფრო მოკრძალებულია, მით უმეტეს, რომ ესეი ზნეობრივ ხაზს მიჰყვება და სიცოცხლის აზრისა და დანიშნულების შესაცნობად კი გვირჩევს, რომ აუცილებელია, ერთდროულად შევიგრძნოთ წარსული, აწმყო და მომავალი.

და თუ წამიერად აწმყოს გამოარჩევდა მწერალი, ეს იმიტომ, რათა დაედასტურებინა, რომ სიცოცხლეს — თუნდ ის მატერიალურიც ყოფილიყო — ადამიანი ვერ მოექცეოდა თავის ნება-სურვილის კვალობაზე და ვერ გადაეშვებოდა მის სიამტკბილობაში იმის გარეშე, თუ არ აჭრიდა თავის სულს, არ მოატყუებდა თავის გრძნობებს, არ წაიბორძიკებდა ბევრჯერ და ხშირადაც არ ჩავარდებოდა განსაცდელში.

როგორ არ შებრალებოდა მწერალს ადამიანი, როგორც შედეგი ამ ცხოველური მატერიალური ცხოვრებისა, რომელსაც ის განადიდებდა, ეთაყვანებოდა და მისი გულისათვის სისხლსაც ღვრიდა.

განა ისე არა ვცხოვრობდით დღეს, თითქოს ჩვენი ცხოვრება შემოიფარგლებოდა მარტოდენ ბირჟით, მაღაზიით, სასადილო და საძინებელი ოთახებით?!.

ვცხოვრობდით ისე, თითქოს სწორი ცხოვრების სიძლიერე ფულის დაგროვებასა და ვნებათა და სურვილთა ჭიის გაზრდაში მდგომარეობდეს, ჭიისა, სულისა და სხეულის დასამარხ აბრეშუმის სუდარებს რომ ქსოვდა!..

ვცხოვრობდით ისე, თითქოს საჭმლის მომნელებელი მექანიზმები ვყოფილიყავით და მათ უმრავლესობას ამ დროში ჟანგი მოსდებოდა.

ვცხოვრობდით ისე, თითქოს დიდებული კერპები ვყოფილიყავით და მათი უმეტესობა დანგრეულიყო.

პოლიტიკოსი არ მიიჩნევდა ჭეშმარიტებას ძალად, რაც ღირსია აღიარებისა, თუ ეს ჭეშმარიტება არ აღმოჩნდებოდა მისი შეცდომებისა და უზნეობის მხარდამჭერი.

ხოლო რელიგიის მსახურთ გაგონებაც არა სურდათ იმ სწორი სწავლებისა, რაც რელიგიურ წიგნებშია, და ზოგიერთი აიადან და დოგმატიდან გამოჰქონდათ ის, რაც შესაძლებლობას აძლევდათ, ადამიანთა სულსა და გონებაზე მოეხდინათ ზემოქმედება, რათა ამით ისეთი ძალაუფლება მოეპოვებინათ, რომლის მსგავსიც უფალს არც ერთი ადამიანისათვის არ გარდმოეცლინა.

ჟურნალისტები ქებას უძღვნიდნენ ამა თუ იმ ორატორს და ბევრჯერ ემოწმებოდნენ ამა თუ იმ მთხოვნელს, ამოძრავებდათ რა განცხადების გაკეთებისა და მონაწილეობის სურვილი; ანდა აჩერებდნენ ჭეშმარიტებას თავშივე საცთურითა და ბოღმით, ან თავს ესხმოდნენ ხალხს და იწვევდნენ ინტრიგებსა და მღელვარებებს პატივმოყვარეობისა და განდიდების ჟინით ატანილნი.

მაინც როგორ უნდა განვსაზღვრავდეთ სიცოცხლეს?

როგორ შეიძლება შევაფასოთ მისი ღირებულება?

როგორ და:

ვირწმუნოთ, რომ სიცოცხლის საფუძველი ნამდვილად არის მენტალური, სულიერი და მატერიალისტური ძალები, რომლებიც ადამიანში გამოვლენილია სხვადასხვანაკლულევანი ოდენობით, მაგრამ ისინი წარმოადგენენ პოტენციურ ძალას, რომელიც უსაზღვროა ყოველ ადამიანურ სულში.

ეს ძალა თავს იჩენდა ჩვენში და ჩვენს შთამომავლობაში — შესაბამისად გარემოებებისა, რომელსაც გავიგებდით, თუკი გავიაზრებდით, და შესაბამისად საიდუმლოებებისა, რომლის წვდომაც დღეს არ შეგვეძლო.

ესეც სიცოცხლის ფორმულა თეორიულად და პრინციპულად.

რაო, რას ირწმუნებოდნენ — ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება არა ღირს იმ ტანჯვად, რომელსაც მისთვის ვიტანთ, და იმ ოფლად, რომელიც მისი გულისთვის ჩვენი შუბლებიდან ჩამოედინებაო?

არ-რეიჰანი კი გვირჩევდა, რომ:

აღგვექვა და შეგვეგრძნო ცხოვრება სათნოდ, თუ კაცი იქნებოდა სათნო, და ლამაზად, თუ კაცის სული იქნებოდა ლამაზი!..

ეს კი ნიშნავდა, რომ ადამიანს ერთნაირად უნდა ეზრუნა გონებრივ, ფიზიკურ და სულიერ ძალთა გაზრდასა და განვითარებაზე.

და თანდათან გამოიკვეთებოდა მწერლის წარმოსახვაში მომავლის ადამიანი, რომელშიც ხორცშესხმული იქნებოდა ფილოსოფოსი სპენსერი და პოეტი დანტე, მეცნიერი პასტერი და წმინდა ავგუსტინე, ანდა იბნ ალ-ფარიდი და იბნ რუშდი. და მოზელდა ღმერთი ახალ, სრულყოფილ ადამიანს თიხის ორი გუნდისაგან, ორი ნარევისაგან — მას ხომ ყოველივე ძალუძს...

ამ გადმოსახედიდან სულ სხვაგვარად წარმოჩნდებოდა ყველაფერი და ჭეშმარიტებაც ისე აელვარდებოდა, აღარ უნდა გაგვძნელებოდა იმისი შემჩნევა და შეთვისება, რომ:

სიცოცხლის ფასი ხალხის გულში დათესილი სიყვარულია, რომლის ნაყოფიც ჩვენვე გვიბრუნდება.

სიცოცხლის ფასი ის უკვდავი, ქველი საქმენია, ყოველი ჩვენგანი რომ აღასრულებს.

ხოლო ის მომავლის ადამიანი, რომელშიც სრულფასოვნად წარმოდგებოდა სიცოცხლის ყველა ნაწილი და თანაბრად გაანაწილდებოდა სიჯანსაღე, ფიზიკური აქტივობა, შემეცნება და სულიერი განვითარება, კიდეც შეძლებდა — თუკი უფალი ინებებდა — გაეერთიანებინა საკუთარ თავში მეცნიერის, მდიდრისა და ასკეტის საუკეთესო მხარეები, გონების, სხეულისა და სულის საუკეთესო თვისებანი — ოცნება და რეალობა, ლექსის, შეგონებისა და სიჯანსაღის სილამაზე.

ასეთ ადამიანს ემსგავსებოდა ის, ვინც აწმყოში ისე ცხოვრობდა, თითქოს აწმყო მთელი მარადიულობა ყოფილიყოს, და არას იქმოდა ისე, თუკი მასში თავის გონებას, სულსა და გულს არ ჩააქსოვდა. ვინც თავის კაპიტალს დააბანდებდა ცხოვრების სამივე ბაზარზე და არც უძლური მეცნიერი იქნებოდა, თავისი ღირსება-მდგომარეობის იქით არაფრის თადარიგის დაჭერა და თაოსნობა რომ არ გამოდის, არც უმეცარი მდიდარი და არც შეშლილი ასკეტი.

ასეთი იქნებოდა ის, ვინც სიცოცხლით აღავსებდა ყველა თავის ძალას და გაუფრთხილდებოდა, და გონებასა და სულს ისე გამოკვებავდა, როგორც სხეულს.

ვინც გაწვრთნიდა საკუთარ თავს ცხოვრების სიძნელეთათვის ისე, თითქოს ეს ცხოვრების აუცილებლობით ყოფილიყოს ნაკარნახევი.

ვინც ადამიანში მხოლოდ ცოდნას, ნიჭსა და სიკეთეს მიაგებდა პატივს.

ვინც არ გამოიჩენდა მიკერძოებას სამართლიანობაში და ჭეშმარიტების გულისათვის არავის შეუშინდებოდა.

ვინც ერთდროულად იცხოვრებდა საკუთარი თავისა, უფლისა და კაცობრიობისათვის.

ნუ იკითხავთ — სამშობლო სადღა არისო?

უფლისა და კაცობრიობისათვის ერთდროული ცხოვრება თავისთავად გულისხმობს საკუთარი მამულისათვის ცხოვრების აუცილებლობასაც, რაკიღა ეს სამეული უერთმანეთოდ არც არსებობს და ვერც იარსებებს.

იდეალი გამოკვეთილა, ნიცშეანური და უიტმენური მოტივებით შეზავებული და იმ ზნეობრიობით აღვსილი, რომელიც — სიყვარულის სახით გამოვლენილი — კიდეც ატრიალებს თავის ნებაზე მთელ სამყაროს.

და სხვაგვარად როგორ შეაჯამოს ამინ არ-რეიჰანმა ასეთი ადამიანის სიცოცხლე, თუ არა ქვეყნიერების საგანძურად, მისი სიცოცხლის ღირებულება კი — განუზომლად და შეუფასებლად.

* * *

და დაე სწორედ აქ, ამ აკორდზე ამოთავდეს ეს რკალი, შთაგონებული ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა და ამინ არ-რეიჰანის მცირე პროზისა და ესეისტიკის ნაკრებით, დარეჯან გარდავაძის, იზოლდა გრძელიძის, ნინო დოლიძის, ინგა ზურაბიშვილისა და ნინო სურმავას სასიკეთო გარჯის ნაყოფით, რომლის მოსასთვლელადაც მთელი წიგნი გიპყრიათ ხელთ, ეს ჩანაწერები კი მის ზღურბლამდე გაგიძღვებათ და იქ დაგტოვებთ, რათა სრულყოფილად შეიგრძნოთ და შეიმეცნოთ ლიბანელ მწერალთა თავდაუზოგავი სწრაფვა იმ უკეთესი სამყაროსაკენ, რომელიც — თუკი ჩვენ-ჩვენ ეროვნულ ძალასა და ენერგიას არ ვირწმუნებთ — ვაითუ მირაჟებში მიგვეკარგოს... მერე კი ძალიან გაგვიძნელდება იმ მიკარგულის გამოხმობა და შესაფერისი აელვარება...

მაგრამ თუ ვირწმუნებთ...

აი, თუ ვირწმუნებთ...

მაშინ კი, მაშინ...

* * *

არადა განა ისეთიც რა მოგვეთხოვება: აწმყოში უნდა ვიცხოვროთ ისე, თითქოს ეს აწმყო მთელი მარადისობა იყოს, და არაფერი მოვიმოქმედოთ ისე, თუკი მასში გონებას, სულსა და გულს ერთობლივად არ ჩავაქსოვთ. და საკუთარ თავში გავამთლიანებთ მეცნიერის, მდიდრისა და ასკეტის საუკეთესო თვისებებს...

როსტომ ჩხეიძე

„მემლექეთზე ფიქრებით“ – ქართული ენა და ლიტერატურა თურქეთში

რადიოსადგური „თურქეთის ხმა“ აგრძელებს გადაცემათა ციკლს სახელწოდებით „მემლექეთზე ფიქრებით“.

გადაცემის წამყვანი ამჯერად თურქეთში ქართული ენისა და ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ გვესაუბრება.

მოგესალმებით. დღეს გვსურს გესაუბროთ თურქეთის უნივერსიტეტებში მოქმედ ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებებზე. ქართველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ თურქეთის ოთხ უნივერსიტეტში გახსნილია ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ბაკალავრიატის საფეხური. სანამ უშუალოდ შევეხებოდე ამ საკითხს, მინდა, აქვე გითხრათ, რომ მასალა მოგვაწოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **ნანა კაჭარავამ,** რომელიც ამჟამად დუზჯეს უნივერსიტეტის კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილებაზე ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების პროფესორია.

აი, რას გვიამბობს ქალბატონი **ნანა კაჭარავა**:

„თურქეთის უნივერსიტეტებში მუშაობის ათი წლის მანძილზე ყველა ჩემი მოხსენება, სიტყვა თუ გამოსვლა მთავრდებოდა შემდეგი წინადადებით: თუ საქართველოში 1944 წლიდან არსებობს თურქოლოგიური სკოლა, ისწავლება თურქული ენა, თურქეთში რატომ არ უნდა არსებობდეს ქართველოლოგიური განყოფილება, ცენტრი ან თუნდაც პატარა უჯრედი?

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩემი ეს მოთხოვნა ხშირად განპირობებული იყო თვით თურქი მეცნიერების მიერ. ისინი ხშირად თვითონ მახსენებდნენ, რომ გამოსვლების დროს არ გამომრჩენოდა ეს მოთხოვნა. თურქეთში საქართველოს საელჩოს გახსნის დღიდან, დაწყებული პირველი ელჩით აწ განსვენებული ბატონი ნოდარ კომახიძით და მოყოლებული დანარჩენი ელჩებით, ეს მოთხოვნა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. და აი, მრავალწლიანმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ნაბიჯ-ნაბიჯ გადაილახა ბიუროკრატიული აპარატის ყველა საფეხური და პირველად თურქეთ-საქართველოს ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი: 2005 წელს ყარსის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, ხოლო 2006 სასწავლო წლიდან მან სტუდენტებიც მიიღო. ეს იყო ორივე ქვეყნის დიპლომატიის, მეცნიერებისა და განათლების უდავოდ დიდი წარმატება.

ყარსის კავკასიის სახელობის უნივერსიტეტმა, როგორც რეგიონალურმა უნივერსიტეტმა, იტვირთა „პირველი მერცხლის“ ფუნქცია, პირველმა გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. ამჟამად მათ ოთხივე კურსზე ჰყავთ 60 სტუდენტი. განყოფილებაში მუშაობს სამი პედაგოგი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ ხვედელიანი და დოქტორანტ-მასწავლებლები – მაია მესხიძე და სუდან ალთუნი.

არდაჰანის უნივერსიტეტმაც შეიტანა თავის წესდებაში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გახსნა. პედაგოგები არიან ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორი როინ ყავრელიშვილი, პროფესორი შურედდინ მემედლი, დოცენტი გულნარა გოჯაევა-მემედოვა. ოთხივე კურსზე ჰყავთ 20 სტუდენტი. ოფიციალურად ჰქვიათ არდაჰანის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

მათ მეზობელ რიზეს ვილაიეთში რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტში 2011 წელს გაიხსნა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ფილოლოგიის პრივატ-დოცენტი ჰარუნ ჩიმქე. ამ მიმართულებაზე 2015 წლის იანვარში საქართველოდან მოიწვიეს ორი სპეციალისტი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი რუსუდან საღინაძე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტიდან და ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი მაია კიკვაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. მათ ჰარუნ ჩიმქესთან ერთად მოამზადეს ოთხწლიანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. სტუდენტების მიღების ნება პირველად 2016 წელს დაერთოთ. ამჟამად იქ რეგისტრირებულია 16 სტუდენტი.

მეოთხე კი დუზჯეს უნივერსიტეტი, რომელიც მუჰაჯირ კავკასიელთა ლოკალური დასახლების რეგიონში მდებარეობს. აქაა თავმოყრილი მუჰაჯირობის დროს გადმოსახლებული ქართველები, ლაზები, აფხაზები, ჩერქეზები, ოსები. გაგიკვირდებათ, მაგრამ დღევანდელ დუზჯეში დაახლოებით 24 ენა ისმის. სწორედ ამ მრავალფეროვნებამ განაპირობა დუზჯეს უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების გახსნა, რომელსაც ორი მიმართულება აქვს: ჩერქეზული ენა და ლიტერატურა და ქართული ენა და ლიტერატურა. ორივე მიმართულება გაიხსნა 2013 წელს და, ალბათ, რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დამსახურებაა, რომ პირველსავე წელს აღმოჩნდნენ ამ სპეციალობებზე სწავლის მსურველნი. აქ პირველი პედაგოგი გახლდათ ასოცირებული პროფ.მაკა სალია. შემდეგ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კი ჩამოვედი მე, ასოც. პროფ. ნანა კაჭარავა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მარიამ მანჯგალაძე, რომელმაც ერთი წლის შემდეგ ვილნიუსის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლად გადაინაცვლა. მის შემცვლელად ჩამოვიდა ზუგდიდის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი შორენა ლომაია. 2016 სასწავლო წელს პედაგოგთა რიგს შეემატა თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ხელოვნებათმცოდნე ფევზი ჩელები, რომელიც წარმოშობით დუზჯელი ქართველია. დღეს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებას ოფიციალურად ჰყავს 72 სტუდენტი. წელს გვექნება პირველი გამოშვება. ჩვენი პროფესორ-პედაგოგების ძალისხმევით მომზადდა სამაგისტრო პროგრამაც. ამ პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში დუზჯეს უნივერსიტეტს ქართული ენისა და ლიტის მაგისტრატურის სწავლების საფეხურიც ექნება.

ჩვენი სურვილია, მეტი ყურადღება მოგვაქციოს და მეტი მხარდაჭერა გამოიჩინოს ჩვენ მიმართ საქართველოს უნივერსიტეტებმა, საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტრომ. გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის, ქართული წიგნებით მომარაგებისათვის დიდ მადლობას ვუხდით დიასპორის სამინისტროს, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, გაუქმდა. უღრმესი მადლობა აწ უკვე ყოფილ მინისტრს გელა დუმბაძეს და თურქეთის მიმართულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს თემურ ტარტარაშვილს. ისინი და საქართველოს საელჩო თურქეთში იყვნენ პირველები, ვინც ჩამოგვაკითხა, ჩვენი ამბავი იკითხა, საჭირო ბიბლიოთეკით მოგვამარაგა.

ჩვენთან სტუმრობისა და ჩამოტანილი სახელმძღვანელოებისათვის დიდი მადლობა საქართველოს ელჩს თურქეთში ირაკლი კოპლატაძეს, საპატრიარქოს უნივერსიტეტის რექტორს სერგო ვარდოსანიძეს და ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორს ტარიელ ფუტკარაძეს. საჩუქრებისა და წიგნებისათვის დიდი მადლობა ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტებიდან ჩამოსულ პროფესორ-პედაგოგთა დელეგაციებს, დიასპორის სამინისტროს ახალგაზრდა ელჩებს თეონა ვარშალომიძესა და სოფიო წკრიალაშვილს და, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა თქვენს გადაცემას და რადიო „თურქეთის ხმას“, რომ საშუალება მოგვცა ჩვენი სათქმელი საქართველოში მცხოვრები ქართველებისთვისაც მიგვეწვდინა“.

მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო რადიომსმენელებო...

„TRT-რადიო თურქეთის ხმა“
მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“

აგროდაზღვევა 1 აპრილიდან ამოქმედდება

აგროდაზღვევის პროექტი მიმდინარე წლის აპრილიდან განახლდება. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, 2017 წლის ბიუჯეტში აგროდაზღვევის პროგრამა გათვალისწინებულია და მთავრობა პროგრამასთან დაკავშირებით ახალ დადგენილებას მარტში მიიღებს.

„აგროდაზღვევა არ იქნება სავალდებულო, მაგრამ გაიზრდება დაფარვის მასშტაბები. ჩვენი მიზანია, პროგრამა იყოს უფრო მეტად საყოველთაო. იგეგმება მთელი რიგი არსობრივი საკითხების დახვეწა, დაზუსტდება ტარიფები. მოგეხსენებათ, დაზღვევა მნიშვნელოვნად უკავშირდება სტატისტიკურ ინფორმაციას. ოთხი წლის წინათ, როდესაც პროგრამა დავიწყეთ, სტატისტიკური ინფორმაცია იყო ძალიან მწირი. წლიდან წლამდე სადაზღვევო კომპანიებს უგროვდებათ გამოცდილება, ხდება სადაზღვევო პირობების დახვეწა და დამუშავება“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრის განმარტებით, აგროდაზღვევაში მონაწილეობა ნებისმიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიას შეუძლია.

საქართველოში აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2014 წლის სექტემბრიდან ხორციელდება. აგროდაზღვევის პროგრამისთვის 2017 წლის ბიუჯეტში 7 მილიონი ლარია გათვალისწინებული, რაც 3 მილიონით ნაკლებია გასული წლის დაფინანსებაზე. პროგრამა მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებასა და რისკების შემცირებას.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში და პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს. დაინტერესებულ ბენეფიციარებს სადაზღვევო პოლისის შეძენა შეეძლოთ საქართველოში მოქმედ 5 სადაზღვევო კომპანიაში: „ალდაგი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, ,,აი სი ჯგუფი“, ,,არდი ჯგუფი“, ,,უნისონი“.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) – 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს შეეძლო დაეზღვია 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში – 30 ჰა). თითოეული დამზღვევი 70 %-იან თანადაფინანსებას იღებდა პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე – 50 %-ს. მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში ან უკვე არსებული საკადასტრო კოდით დაზღვევისას თანადაფინანსება არსებულზე 10 %-ით მეტი იყო. 2016 წელს მოქმედებდა მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები.

ნინო ევგენიძე

ფილიპინების პრეზიდენტი რუსულ სამხედრო გემებს ტერიტორიული წყლების გამოყენების უფლებას აძლევს

ფილიპინების პრეზიდენტი როდრიგო დუტერტე რუსულ სამხედრო გემებს ქვეყნის ტერიტორიული წყლების გამოყენების უფლებას აძლევს, – ამის შესახებ მან ადგილობრივი მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„მათ თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ ჩვენი საზღვაო აკვატორია, მხოლოდ საქმის კურსში წინასწარ უნდა ჩაგვაყენონ“, – აღნიშნა დუტერტემ. ფილიპინების ლიდერს დასავლეთთან ურთიერთობა მას შემდეგ დაეძაბა, რაც ნარკომაფიას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა და მათ წინააღმდეგ გადამეტებული ძალა გამოიყენა.

ლონდონში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა დაზუსტდა

ბოლო მონაცემებით, ტერაქტს 3 ადამიანი ემსხვერპლა. ამის შესახებ სკოტლანდ იარდის წარმომადგენელმა მარკ როულიმ განაცხადა. მისივე თქმით, 29 დაშავებული ამ დრომდე კლინიკებში რჩება. 7 მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია. ტერაქტების შემდეგ პოლიციამ ბირმინგემში მასშტაბური რეიდი მოაწყო. სპეცოპერაციის ფარგლებში სულ 6 სახლი გაიჩხრიკა. დაკავებულია 7 პირი. რაც შეეხება უშუალოდ თავდამსხმელს, მისი იდენტიფიკაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ის, სავარაუდოდ, მარტო მოქმედებდა და ისლამისტური ტერორიზმის იდეის მიმდევარი იყო.

უკრაინაში, საბრძოლო მასალების საწყობი დაინვა

ცეცხლი გვიან ღამით ბალაკლეის ბაზაზე საბრძოლო მასალების საწყობს გაუჩნდა. აფეთქებების ხმა ხარკოვში მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა. ხანძარმა კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურა. ცეცხლის ლოკალიზებას მეხანძრეები ამ დრომდე ვერ ახერხებენ. კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიიდან მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაცია განხორციელდა. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. უკრაინის სამხედრო პროკურორმა მომხდარი დივერსიულ აქტად შეაფასა.

მოსულში შეტაკებებს მშვიდობიანი მცხოვრებლები ეწირებიან

მოსულის გათავისუფლების ოპერაციას მშვიდობიანი მცხოვრებლები ეწირებიან. სააგენტო როიტერის ინფორმაციით, ან ნუსრის მეჩეთთან შეტაკებისას რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები დაიღუპა. არიან დაშავებულებიც. მოსულის გათავისუფლების ოპერაცია ერაყის არმიამ 19 თებერვალს დაიწყო. სახელისუფლო ძალებმა ქალაქის ისტორიულ ცენტრში სტრატეგიული ობიექტები დაიკავეს.

ეროვნული ბანკის „ქაჯანობა“

კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური ანუ საბანკო მოღვაწეობის მიღმა ბიზნესების ფლობა ეროვნული ეკონომიკის დამმუხრუჭებელი გარემოება რომაა და თავისუფალი კონკურენციის უდიდესი ხელისშემშლელი პირობა, ამის თაობაზე ლაპარაკი დიდი ხანია, მიმდინარეობს. საქმე იქამდესაც კი მივიდა, რომ 2014 წელს ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმად კომბანკებს არაპროფილური აქტივების ფლობა აეკრძალათ, თუმცა კი, რომ იტყვიან, ნებისმიერ, რაგინდ მკაცრ ბრძანებას თუ კანონს, ერთი მხრივ, მისი განუხრელად შეუსრულებლობა, მეორე მხრივ, დარჩენილი „ხვრელები“ არბილებს. გასაკვირი არაა, რომ არაპროფილური სამეწარმეო საქმიანობით ბუნებრივია, სხვებზე მეტად ყველაზე დიდი და მძლავრი კომერციული ბანკები გამოირჩევიან, რომელთა მიმართ, არსებითად, არანაირი სათანადო ზომები არ ტარდება, რის შედეგად მათთვის აკრძალულ მოღვაწეობას წერტილი დაესმებოდა. არადა, ამაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ბანკს საამისოდ ყველა საშუალება ხელთ აქვს, მათ შორის, საბანკო ზედამხედველობის ბერკეტიც, რომელიც გარკვეული იძულებითი პაუზის შემდეგ ახლახან კვლავ დაბრუნდა, მაგრამ ფაქტია, რომ თავის შესაძლებლობებს ის ჯეროვნად ვერ იყენებს.

მეტიც: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეკონომისტი **დემურ გიორხელიძე,** კერძოდ, აცხადებს, რომ კანონმდებლობის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ **„ეროვნული ბანკი აკეთებს ყველაფერს, რაც მოუნდება, ლობირებს კომერციულ ბანკებს, უშვებს არაპროფილური აქტივების ფლობას და არ იმჩნევს თავის მიერ დაწესებული რეგულაციებისთვის გვერდის ავლას“.** მისივე თქმით, ამის აღსაკვეთად რაიმეს პირდაპირ გაკეთება არ შეიძლება. თუმცა კი, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია თანამედროვე, ეროვნული ეკონომიკის ინტერესების შესაბამისი მონეტარული პოლიტიკის გატარება, მაგრამ ამის განხორციელება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომაც, ეროვნული ბანკის ყველა უფლებამოსილება უმკაცრეს ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

ასეთია ავტორიტეტული ექსპერტის აზრი, თუმცა კი, ვიდრე ყველაფერი კანონიერების ჩარჩოებში მოქცეული არ არის, კომერციული ბანკები ჩვენში კვლავაც ლაღად განაგრძობენ არაპროფილურ სამეურნეო საქმიანობას. არადა, სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, ეს მხოლოდ საქართველოს საბანკო სექტორის სენი არ არის, რასაც 2012 წელს მსოფლიოში ბანკის მიერ ჩატარებული „ბანკების რეგულირებისა და ზედამხედველობის კვლევა“ მოწმობს, რომლის ერთ-ერთი საკვანძო თემა სწორედ კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საკითხია. საქართველოსთვის ამ პრობლემის სიმძაფრეს, პირველ ყოვლისა, ის გარემოება განაპირობებს, რომ ეკონომიკური განვითარების ისედაც უაღრესად მძიმე გზაზე კომბანკები ლომის წილის მფლობელები არიან სამამულო მეურნეობის ისეთ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორებიცაა **სამშენებლო, ტურისტული, საგანმანათლებლო, სამედიცინო, ღვინის წარმოებისა და სხვა დარგები.** ამას კომერციული ბანკები იმ ზემონახსენები „ხვრელების“ წყალობით გარკვეული პროფილების შვილეული კომპანიების შექმნის გზით ახერხებენ, რომლებიც ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ რეგულაციაშია.

— რაღაც ფორმა კი შეცვალეს, მაგრამ ძველებურად იმავე სქემით მოქმედებენ, — ამბობს მენაშენეთა ასოციაციის თავკაცი **ირაკლი როსტომაშვილი.** — მაგალითად, მე ვიცი, რომ სამშენებლო კომპანია „M²“ საქართველოს ბანკს ეკუთვნის.

საერთოდაც, საქართველოს ბანკი ფინანსური ინსტიტუტია, რომლის არაპროფილური აქტივების ფლობაზე უწინაც ბევრი მითქმა-მოთქმა იყო და ახლაც ბევრს ლაპარაკობენ. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ დასრულდა „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (GPC) მიერ აფთიაქთა ქსელის „ფარმადეპოს“ აქციების 100 პროცენტის შესყიდვის პროცესი. ამ გარიგების შედეგად ახალი სააფთიაქო ქსელი — „საქართველოს ფარმაცია“ (JSP Georjia Pharmaug) შეიქმნება, სამამულო ფარმაცევტული ბაზრის ახლანდელი ლიდერი კომპანია GPC კი საქართველოს ბანკის შვილეული კომპანიაა.

საქართველოს ბანკის საქმიანობის აგრესიულ სტილზე სხვა გარემოება კიდევ უფრო ნათლად მეტყველებს. მხედველობაში გვაქვს სწრაფი ჩარიცხვის მომსახურების სფერო, საიდანაც ძირითადი კონკურენტების მოშორების შემდეგ, რასაც ნულოვანი საკომისიოს დაწესების გზით მიაღწია „საქართველოს ბანკმა“ კუთვნილი სწრაფი გადახდის აპარატებით კომუნალური გადასახადების გადახდა და მობილური სატელეფონო ბალანსების შევსება ფასიანი (4-პროცენტიანი), „ბაზარზე ასრებული შესაბამისი გახადა“ (როგორც ამას ბანკში აცხადებენ). სამი წლის წინათ საქართველოს ბანკის მიერ ამ სეგმენტში „მუქთა ჩარიცხვების“ პოლიტიკის შედეგად, ბაზრიდან მისი ერთ-ერთი ძლიერი კონკურენტი, კომპანია OSMP გაქრა.

ამჯერად საქართველოში სწრაფი გადარიცხვების აპარატებს რამდენიმე კომპანია, მათ შორის „ნოვა ტექნოლოჯი“, „ექსპრეს ფეი“ და „თიბისი ფეი“ ამუშავებს ამასთან, საქართველოს ბანკში აცხადებენ, რომ მობილური კავშირგაბმულობის ბალანსის შევსება მათი ნებისმიერი ბარათიდან უფასოა.

არადა, იურისტ **აპაკი ჩარგეიშვილის** განცხადებით, დღესდღეობით ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ სფეროში ბიზნესი ვინმე „უცხომ“ წამოიწყოს, ვინაიდან ბაზარზე მდგომარეობას სრულად კომბანკები აკონტროლებენ.

— თავის დროზე საქართველოს ბანკის განცხადება ნულ-პროცენტიანი საკომისიოს დაწესების თაობაზე ტყუილი იყო, ეროვნულ ბანკს მისთვის არაპროფილურ ბიზნესში შესვლის შესაძლებლობა არ უნდა მიეცა, — აცხადებს იგი.

ასე და ამრიგად გამოდის, რომ კომბანკების მიერ სხვადასხვა დარგში არაპროფილური ბიზნესების ფლობა ერთი მხრივ ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს, მეორე მხრივ, მონოპოლიების წარმოშობას უწყობს ხელს და ჯანსაღი კონკურენციის შესაძლებლობას სპობს, რაც სამამულო მეწარმეობაზე ასევე არასახარბიელოდ აისახება. ამაში კი საკუთარი წონადი სიტყვა აუცილებლად უნდა თქვას ეროვნულმა ბანკმა, თუმცა კი ამ მხრივ იგი არა იმდენად ქვეყნის სასიკეთოდ მოქმედ სტრუქტურას, არამედ უფრო ცნობილ ქაჯანას წააგავს.

ოთარ ტურაგელიძე

საქართველოს ეროვნული ბანკი „გლობალური ფინანსური ჩართულობის დაჯილდოების“ ფინალისტია

საქართველოს ეროვნული ბანკი გლობალური ფინანსური ჩართულობის დაჯილდოებაზეა მიწვეული. „გლობალური ფინანსური ჩართულობის დაჯილდოების“ ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის „რეგიონული პროექტის“ ნომინაციაში ფინალისტად დასახელდა.

ნომინაციაში „რეგიონული პროექტი“, საქართველოს ეროვნული ბანკი გასული წლის განმავლობაში ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის განვითარების და ახალგაზრდა თაობის ფინანსური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტების გამო წარადგინეს. აღსანიშნავია პროექტი „სკოლა-ბანკი“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ფინანსური განათლების საკითხების ეტაპობრივი ინტეგრაცია.

Child and Youth Finance International- ი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი წამყვანი პარტნიორი ორგანიზაციაა, რომელთანაც სებ-ი აქტიურად თანამშრომლობს „გლობალური ფულის კვირეულის“, „სკოლა-ბანკის“ და ფინანსური განათლების ამაღლებაზე ორიენტირებული სხვა პროექტების ფარგლებში.

„გლობალური ფინანსური ჩართულობის დაჯილდოების“ ცერემონიალი 2017 წლის მაისში, ბერლინში გაიმართება.

საგარეო ვაჭრობა 2017 წლის იანვარ-თებერვალში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ორი თვის დაზუსტებული მონაცემები გამოაქვეყნა. ამ მონაცემების თანახმად, 2017 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 1 მილიარდ 423 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 18 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 356 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (27 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 მილიარდ 67 მლნ. აშშ დოლარს (15 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარ-თებერვალში 712 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 289 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტის ზრდა მოხდა როგორც ევროკავშირის, ისე — დსთ-ს ქვეყნების მიმართულებით, კერძოდ: ოფიციალური ინფორმაციით, 2017 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 375 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 15 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 102 მილიონი დოლარია, რაც 31%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო იმპორტი მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში 274 მილიონი დოლარია, რაც 10%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებლს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2017 წლის იანვარ-თებერვალში 497 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2016 წლის იანვართან შედარებით 40%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 129 მილიონი დოლარი იყო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 75 პროცენტით მეტია, ხოლო იმპორტმა 367 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 31%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

საინტერესო ტენდენციებიდან ხაზგასასმელია შემდეგი: 2017 წლის იანვარ-თებერვალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში შემცირდა. 2017 წლის გასულ თვეებში მთელ იმპორტში მისი წილი 5.4% იყო; მაშინ როცა წინა წლის იანვარ-თებერვალში 7.1% იყო. გასულ თვეებში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 57 მილიონი დოლარი იყო მაშინ, როცა 2016 წლის იანვარ-თებერვალში იმპორტმა 66 მილიონი დოლარი შეადგინა.

აქციზის ზრდას ანალოგიური გავლენა არ მოუხდენია ნავთობპროდუქტების იმპორტზე. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია.

აღნიშნული პროდუქციის იმპორტმა გასული ორი თვის მანძილზე 70 მილიონი დოლარი შეადგინა; 2016 წლის იანვარ-თებერვალში კი ეს მონაცემი 63 მილიონი დოლარი იყო.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის იანვარ-თებერვალში, ნავთობპროდუქტების წილი მთლიანად საქართველოს იმპორტში 6.6% იყო; გასული წლის იანვარ-თებერვალში კი მთელი იმპორტის 6.8%. შეგახსენებთ, რომ 2017 წლის იანვრიდან ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა. კერძოდ, ერთი ტონა ბენზინის აქციზი 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა, ერთი ტონა დიზელის საწვავის — 150 ლარიდან 400 ლარამდე, ხოლო ერთი ტონა ძრავის ზეთი - 400 ლარიდან 800 ლარამდე გაიზარდა. გაიზარდა ასევე 1000 m^3 გათხევადებული ბუნებრივი აირის აქციზი და 80 ლარის ნაცვლად 200 ლარი გახდა.

◎ მოვლენის წინ

დღეს სერბები გამოგვცდიან

იყო დრო, ქართველები ერთმორწმუნე სერბებს განკითხვის დღეს ვუწყობდით (რა თქმა უნდა, მწვანე მინდორზე). საილუსტრაციოდ თბილისის „დინამოს“ მიერ უეფას თასზე ბელგრადის ოფკ-სთან დადგმული სპექტაკლებიც კმარა (3:0, 5:1).

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, რუკიდან საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის გაქრობას კი უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სტატუსით ყოფილი რესპუბლიკების ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებთა „მუნდიალ – 2018“-ის ერთ შესარჩევ ჯგუფში თამაში მოჰყვა. დღეს 21 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენა“ სწორედ მათ მატჩს უმასპინძლებს. წლევანდელი საგაზაფხულო რაუნდის სასტარტო შეხვედრას გერმანელი მსაჯი, უძრავი ქონების აგენტი ფელიქს ცვაიერი გაუძღვება.

მოგეხსენებათ, ვლადიმირ ვაისის გუნდმა შარშანდელ ციკლში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეებს, მაგრამ მხოლოდ 2 ქულას მოუყარა თავი, ბალკანელები კი 8 ქულით სატურნირო ცხრილის მეორე პოზიციას იკავებენ და ლიდერ ირლანდიას 2 ქულით ჩამორჩებიან. ბუნებრივია, „ჯვაროსნებს“ ისედაც მწირი მონაგრის შევსებაზე მართებთ ფიქრი, მაგრამ ხომ გსმენიათ – გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო: ტრავმირებული ოქრიაშვილისა და მჭედლიძის არყოფნა, დაგვეთანხმებით, სრულფასოვან შემსრულებელთა დეფიციტის პირობებში, აუნაზღაურებელი დანაკლისია, თუმცა, ხომ იცით, ბურთი მრგვალია და იქნებ ჩვენს ქუჩაზეც მოვიდეს გაზაფხული.

სხვათა შორის, უფროს თანამემამულეთათვის საბრძოლო ჟინის გასაღვიძებლად გია გეგუჩაძის გაწვრთნილმა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა იზრუნა, რომელმაც მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული პირველი ამხანაგური მატჩი ისლანდიელ თანატოლებს მოუგო – 3:1 (კიტეიშვილი, ჭანტურია – 2). ხვალ 14 საათზე ეს გუნდები ისევ ვაკეში შეხვდებიან ერთმანეთს.

ახლა კი, მოდით, დღევანდელი ბრძოლის შესაძლო მონაწილეებს გავეცნოთ.

საქართველო

მეკარეები – გიორგი ლორია („კრილია სოვეტოვი“), გიორგი მაკარიძე („მორეირენშე“), როინ კვასხვაძე („ტორპედო“).

მცველები – ოთარ კაკაბაძე („ესბიერგი“), საბა კვირკველია („ლოკომოტივი“, მოსკოვი), გურამ კაშია („ვიტესი“), დავით ხოჭოლავა („ჩერნომორეცი“), გიორგი ნავალოვსკი („ნეფთჩი“), ჯემალ ტაბიძე („ურალი“), გიორგი რეხვიაშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი), უჩა ლობჟანიძე („ატირაუ“).

ნახევარმცველები – ჯაბა კანკავა („რეიმსი“), ვაკო გვილია (ბატე), ნიკა კვეკვესკირი („გაბალა“), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“), ოთარ კიტეიშვილი („დინამო“), ვალერი ყაზაიშვილი („ლეგია“), ჯაბა ჯიღაური („ვარდარი“), სანდრო კობახიძე („გიოზთეფე“), გიორგი არაბიძე („შახტარი“).

თავდამსხმელები – ვლადიმერ დვალიშვილი („ატირაუ“), ნიკა კაჭარავა („ეთნიკოსი“), გიორგი ქვილითაია („რაპიდი“).

მთავარი მწვრთნელი – ვლადიმირ ვაისი.

სერბეთი

მეკარეები – ვლადიმირ სტოიკოვიჩი („ნოტინგემი“), პრედრაგ რაიკოვიჩი („მაკაბი“), ალექსანდრ იოვანოვიჩი („ორჰუსი“).

მცველები – ბრანისლავ ივანოვიჩი („ზენიტი“), იაგოშ ვუკოვიჩი („ქონიასფორი“), სტეპან მიტოვიჩი („გენტი“), ნიკოლა მაქსიმოვიჩი („ნაპოლი“), ალექსანდრ კოლაროვი („სიტი“), ანტონიო რუკავინა („ვილიარეალი“), ეროშ სპაჰიჩი („ანდერლეხტი“).

ნახევარმცველები – მილან ობრადოვიჩი („ანდერლეხტი“), დუშან ტადიჩი („საუთჰემპტონი“), ნემანია მატიჩი („ჩელსი“), ლუკა მილოვოევიჩი („კრისტალ პალასი“), ლუბომირ ფეიზა („ბენფიკა“), ნემანია რადოია („სელტა“), ზორან ტოშიჩი (ცსკა), ფილიპ კოსტიჩი („ჰამბურგი“), საშა ლუკიჩი („ტორინო“).

თავდამსხმელები – ლაზარ მარკოვიჩი („ჰალი“), ალექსანდრ მიტროვიჩი („ნიუკასლი“), ანდრია პავლოვიჩი („კოპენჰაგენი“), ეროშ ჯორჯევიჩი („პარტიზანი“), მიატ გაჩინოვიჩი („აინტრახტი“).

მთავარი მწვრთნელი – სლავოლიუბ მუსლინი.

გიორგი ზოთაძე

◎ ამ დღეს ველოდი, მოვესწარ...

ექვსი ერის გუნდები აქაც ჩამოვლენ!

„მსოფლიო რაგბის“ გადაწყვეტილებით, 2020 წლიდან მეორე დონის სარაგბო ქვეყნებს პირველი დონის გუნდებთან თამაშების რაოდენობა გაეზრდებათ.

ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ხანგრძლივი სამუშაო პროცესი, რომელშიც „მსოფლიო რაგბთან“ ერთად მეორე დონის სარაგბო ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული. საქართველოს ინტერესებს საქართველოს რაგბის კავშირი და მისი წარმომადგენელი „რაგბი ევროპასა“ და „მსოფლიო რაგბში“ **გიორგი ნიჟარაძე** იცავდნენ.

„მინდა ყველას მივულოცო ეს ისტორიული გადაწყვეტილება. 2020 წლიდან პირველი დონის გუნდებთან უფრო მეტი თამაშის ჩატარების და მათი თბილისში ხილვის საშუალება გვექნება. სიახლე არ ეხება მხოლოდ საქართველოს და ამ სიკეთით მეორე დონის ყველა ნაკრები ისარგებლებს.

ამ ეტაპზე მოხდა შეთანხმება პრინციპზე და უშუალოდ რომელი გუნდი როდის გვეწვევა, ეს იაპონიის მსოფლიო თასის მსვლელობისას გაირკვევა. შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ საქართველოში აუცილებლად ჩამოვლენ იტალია, შოტლანდია და ექვსი ერის სხვა ქვეყნების ნაკრებები“ – გვითხრა გიორგი ნიჟარაძემ, რომელიც პირადად იყო ჩართული მოლაპარაკებებში:

„საკითხზე აქტიურად მუშაობდა მთელი რაგბის კავშირი და მათ შორის მეც, როგორც სრკ-ს წარმომადგენელი „მსოფლიო რაგბში“. საქართველოში სტუმრობისას მარკ იგანი სრკ-ს პრეზიდენტ გოჩა სვანიძეს შეხვდა, სადაც საქართველოს პოზიცია საბოლოოდ დაფიქსირდა, რის შემდეგაც იყო კიდევ ერთი შეხვედრა და „მსოფლიო რაგბმა“ საბოლოო გადაწყვეტილება ამის შემდეგ გაახმაურა“.

ცნობილია, რომ ზაფხულის ტესტ-მატჩების ჩატარების პერიოდმა ივნისიდან ივლისში გადაიწია და სწორედ ზაფხულში ეწვევიან ჩვენს ქვეყანას ექვსი ერის წარმომადგენლები. ამავე პერიოდში „ბორჯღალოსნებს“ ექნებათ ტურნე ოკეანეთში, სამხრეთ ნახევარსფეროში ან ამერიკაში.

„ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება და როგორც საქართველოში, ასევე რუმინეთში ექვსი ერის წარმომადგენლები ყოველ წელს აუცილებლად ჩამოვლენ. გარდა ამისა, ივლისში გვექნება ტურნეები ოკეანეთსა და ამერიკის კონტინენტზე, ასევე სამხრეთ ნახევარსფეროში, სადაც შეიძლება ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის და არგენტინის ნაკრებებს ვეთამაშოთ“.

2014 წლიდან დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ყოველი წლის ნოემბერში ექვსი ერის წარმომადგენლებთან მინიმუმ თითო გასვლით შეხვედრას ვატარებთ და ეს ტრადიცია მომავალშიც შენარჩუნდება. ამრიგად, 2020 წლიდან „ბორჯღალოსნებს“ წლის განმავლობაში მინიმუმ ორი თამაში ექნებათ ექვსი ერის გუნდებთან (ერთი შინ და ერთი სტუმრად) და გვექნება შანსი, რომ კიდევ ერთი მატჩი ჩავატაროთ პირველი დონის რომელიმე ნაკრებთან. გარდა ამისა, ივლისისა და ნოემბრის ტესტებზე კვლავ შევხვდებით სამოას, ფიჯის, ტონგას, იაპონიის, აშშ-სა და კანადის ნაკრებებს.

ამ მნიშვნელოვან ცვლილებას „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი გამოეხმაურა და მას მეორე ეშელონის გუნდებისთვის წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა:

„ეს წინგადადგმული ნაბიჯია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მეორე ეშელონის ნებისმიერი სარაგბო ქვეყნისთვის. ახალი კალენდრის საკითხს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ და ბედნიერი ვარ, რომ გადაწყვეტილება საბოლოოდ იქნა მიღებული და ის უკვე 2020 წლიდან შევა ძალაში.

ამას საქართველოსა და მეორე ეშელონის სხვა ქვეყნების თვალით რომ შევხედოთ – წარმოიდგინეთ, რომ ახლა 16 წლის მორაგბე ხართ და მიხვდებით, რამდენ პერსპექტივას მოგიტანთ ეს ახალი კალენდარი სულ რაღაც 4 წელიწადში.

ახალი კალენდრის უმთავრესი დადებითი მხარე ისაა, რომ ჩვენ გვექნება პატივი ვუმასპინძლოთ ისეთ ნაკრებებს, როგორიცაა შოტლანდია, უელსი, ინგლისი, ირლანდია და თუნდაც „ოლ ბლექსი“. თუ გვინდა, რომ ყოველი შემდგომი მსოფლიო თასი უფრო კონკურენტუნარიანი იყოს, ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი იყო“.

„მსოფლიო რაგბი“ იმედოვნებს, რომ ამ ცვლილებით მზარდი სარაგბო ქვეყნების ინტეგრირება გაადვილდება. ზაფხულის ტესტების ივნისიდან ივლისის პირველ სამ კვირაში გადატანის მიზანია, რომ „ზე რაგბის“ სეზონი შესვენების გარეშე ჩატარდეს და სამხრეთ ნახევარსფეროს ნაკრებებს მოსამზადებლად მეტი დრო დარჩეთ. ეს ცვლილება „ბორჯღალოსნებსაც“ წაადგებათ, რადგან ივნისში საფრანგეთში სეზონი ჯერ კიდევ მიმდინარეობს ან ახალი დასრულებულია და მწვრთნელები პრაქტიკულად ვერასდროს ახერხებდნენ უძლიერესი შემადგენლობის შეკრებას, 2020 წლიდან კი ამის შესაძლებლობა იქნება და, შესაბამისად, ექვსი ერის წარმომადგენლებსაც უძლიერესი მოთამაშეებით დავხვდებით.

კობა კობახიძე

◎ ტრადიცია

თბილისის გრან პრიზე 38 ქვეყანა გამოვა

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ თბილისის გრან პრიზე მონაწილეობის მსურველი ნაკრებების წინასწარი განაცხადები გამოაქვეყნა. 31 მარტიდან 2 აპრილამდე თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გასამართ პრესტიჟულ ტურნირზე ბოლო მონაცემებით 38 ქვეყნის 280 კიმონოიანია დარეგისტრირებული.

მოლოდინისამებრ, მომავალი შეჯიბრება ბევრ ტიტულოვან სპორტსმენს მოისაკლისებს: განაცხადში არ არიან იაპონიისა და სამხრეთ კორეის ნაკრებები, ევროპული გუნდების უმრავლესობა კი საქართველოში გადახალისებული შემადგენლობით ჩამოვა. 20-23 აპრილს პოლონეთმა ევროპის ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს და ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმამდე სამიოდე კვირით ადრე ტურნირზე ჭიდაობისგან თითქმის ყველა ძლიერი სპორტსმენი თავს იკავებს.

სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებისა და ტრავმების გამო საშინაო გრან პრიზე საქართველოს ნაკრებიც შესუსტებული შემადგენლობით გამოვა. კერძოდ, არ იჭიდავებენ: ამირან პაპინაშვილი (60 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ), ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ), ზებედა რეხვიაშვილი, თამაზ კირაკოზაშვილი (ორივე 81 კგ), ბექა ღვინიაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი (ორივე 90 კგ), ვარლამ ლიპარტელიანი (100 კგ) და გურამ თუშიშვილი (+100 კგ).

საქართველოს მამაკაცთა ნაკრების მწვრთნელები მასპინძელთათვის დაწესებულ კვოტას მაქსიმალურად გამოიყენებენ, და ტატამზე 28 სპორტსმენს გაიყვანენ. ქალთა კონკურენციაში კი „ჯვაროსანთა“ ნაკრების 8 წევრი ჩაებმება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ალესანდრა ამბროზიოს გული ატკინეს

შემაშფოთებლად ლამაზი და მომხიბვლელი ბრაზილიელი მოდელი ალესანდრა ამბროზიო იმდენად გააბრაზა და გაანაწყენა თანამემამულე ბულვარული მედიის მიერ მასზე გავრცელებულმა ჭორებმა, რომ საჯაროდ დაიფიცა: მასთან გულახდილად აღარასოდეს ვისაუბრებ და ყვითელი მედია ჩემი კეთილგანწყობის ღირსი აღარ არისო.

საქმე ისაა, რომ მშვენიერი ალესანდრას სარეცელამდე მისასვლელი გზა რამდენიმე ჟურნალმა ვეტერან ბრაზილიელ ფეხბურთელს რიკარდო კაკას დაუკავშირა და ეს ჭორები იქამდეც კი მივიდა, რომ მავანმა მტკიცება დაიწყო, ამბროზიოს ქალს რიკარდოსთან გაგანია რომანი აქვს გაჩაღებულიო.

რთული სათქმელია, რამდენად დაიცავს ალესანდრა ამბროზიო დადებულ პირობას და რამდენ ხანს გაგრძელდება მედიასთან მისი გულისწყრომა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია – მედიასთან დაპირისპირებით (თუნდაც სამართლიანი გულისწყრომა იყოს ამის მიზეზი), როგორც წესი, ვერავინ ხეირობს. საეჭვოა, სინიორიტა ალესანდრამ ეს რომ არ იცოდეს...

როსტომ რაჭველიშვილი

გამოსათხოვარი

...გაულო შვილმა სამოთხის კარი

თუ ვინმეს შეეფერება სიტყვები: კაცი, რომელიც „დააკლდა ქალაქს“ ეს გია ჭირაქაძეზე ითქმის.

აი, ვინ იყო ჭეშმარიტი თბილისელი: გარეგნული ხიბლით, საქციელით,ზოგადი კულტურით და ყოველდღიური ცხოვრების წესით.

მან დაიმსახურა სახელი ქართული ესტრადის მეტრისა და მთელი თაობის მეთაურად იქცა. ჯაზმენი, კონფერანსიე, მომღერალი, ახლის მაძიებელი და დამამკვიდრებელი. მას ჰქონდა შესანიშნავი ბანი და „ქართული ხმების“ სახელის აღზევებაში უზარმაზარია მისი წვლილი.

გია ჭირაქაძის უამრავი ჯილდოს, მისი დამსახურების გვირგვინია თბილისის „საპატიო მოქალაქეობა“, რადგან თუ ქალაქს არა ყავს მისებრი კაცები, ის ვერ შედგება ქალაქად. ადამიანია ყოვლის შემოქმედი, ადამიანია ყოველი სიკეთის წყარო და თუ ეს წყარო დამშრალია მაშ, საიდანღა ველოდოთ დიდებას.

„ქართული კულტურის შუაგულში მოტრიალე გია ჭირაქაძის ყოვლისმძლე ფიგურა“ — აი, სურათი, რომელიც არასდროს წაიშლება ჩვენ თვალთაგან.

ჩვენი ცხოვრების განუყოფელ, ტრადიციულ სუფრასთანაც, თავისებურად გამოკვეთილი,სამაგალითო, სიტყვაშეუშლელი და ლხინის შემფერებელი, სამშობლოს შემცნობი და მისი კულტურის დამფასებელი.

სულ რაღაც ერთი თვის წინათ, ნინოწმინდაში, კახური ტრადიციული მეღვინეობის მოდერნიზებულ მარანში, ვიხმიეთ პურღვინო. ნიშანწყალს არ ატარებდა პესიმიზმისას მისი არსება. დაადგუგუნა თავისი მშვენიერი ბანი და გაგვახარა ყველა ერთი საერთო სიხარულით, რასაც მეგობრობის უშრეტი სიხარული ჰქვია.

გარდაიცვალა გია ჭირაქაძე — შეუძლებელია ამ სიტყვებს დარდის გარეშე ვწერდეთ: დიახ, გარდაიცვალა, მაგრამ არ მომკვდარა. წავიდა ეს დიდი კაცი ამქვეყნიდან.

გაუღო მას თავისმა ძვირფასმა შვილმა სამოთხის კარი...

ელდარ ნადირაძე, მიშა ლოლაძე, ზურა ლოლაძე, თამაზ ტყემალაძე, ილო ფერაძე, ვაჟა ქუთათელაძე, ზურა ჩხაიძე, სპარტაკ ქოგულია

გამოსათხოვარი

აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრმა მძიმე დანაკლისი განიცადა. 56 წლის ასაკში გარდაიცვალა ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი

კახა ბეგაშვილი

1987 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კახა ბეგაშვილი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა თერაპევტად სასწრაფო დახმარების სამსახურში, 1989 წლიდან, ჯერ თერაპიის ინსტიტუტში, ხოლო 1993 წლიდან აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, სადაც განვლო გზა ექიმ-კარდიოლოგიდან დეპარტამენტის უფროსამდე.

წლების განმავლობაში მუშაობდა გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში, სადაც მკურნალობდა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს. ძნელი დასათვლელია, თუ რამდენი პაციენტის გადარჩენა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეძლო მან ამ პერიოდში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი პროფესიული მოღვაწეობის უკანასკნელი წლები, როდესაც ის სათავეში ჩაუდგა რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. მისი ხელმძღვანელობით ცენტრის მობილური სამედიცინო ბრიგადები რეგულარულად ჩადიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში და უანგაროდ ატარებდნენ მოსახლეობის პროფილაქტიკურ გასინჯვებს და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობას.

კახა ბეგაშვილი იყო ზედმიწევნით კეთილი ადამიანი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა უკლებლივ ყველა თანამშრომელთან. ის ყოველთვის მზად იყო, გვერდში დადგომოდა კოლეგებს კრიტიკულ სიტუაციებში, გაეზიარებინა თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა ექიმებისთვის.

გულისტკივილით ვეთხოვებით ძვირფას კოლეგას და მეგობარს. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სული.

აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი.

აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცი – მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე

მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ნეშტი სამხედრო პატივით დაკრძალეს. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული II ქვეითი ბრიგადის უმცროსი სერჟანტის ანზორ ვახტანგის ძე გელდიაშვილის ნეშტი ახალციხიდან თბილისში, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე ოჯახის თხოვნით გადმოასვენეს.

ძმათა სასაფლაოს მიმდებარედ არსებულ აგვისტოს ომის მსხვერპლთა სახელზე აგებულ ეკლესიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარმა კაპელანმა დავით ლონდარიძემ უმცროსი სერჟანტის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

მუხათგვერდში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები, პოლკოვნიკები - ნიკოლოზ ჯანჯღავა, შალვა ჯაბახიძე და ზაზა ჩხაიძე, ეროვნული გვარდიის უფროსი, ბრიგადის გენერალი ლევან გამყრელიძე, ასევე სხვა სამხედრო პირები იმყოფებოდნენ.

დაკრძალვის ცერემონიალს დაღუპული სამხედრო მოსამსახურის თანამებრძოლები, ოჯახის წევრები და ახლობლები დაესწრნენ.

საეკლესიო რიტუალის შემდეგ, სამხედრო მოსამსახურის ნეშტი ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს. ეროვნული გვარდიის საპატიო ყარაულმა სამხედროს საგანგებო ზალპით მიაგო პატივი, სამხედრო-საჩვენებელმა ორკესტრმა კი, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და სამგლოვიარო მარში შეასრულა.

უმცროსი სერჟანტი ანზორ გელდიაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2005 წლიდან მსახურობდა. სამხედრო მოსამსახურე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში II ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონთან ერთად ჩაერთო. მისი ქვედანაყოფი სოფელ ტბეთის მიმდებარედ საქართველოში შემოჭრილ მოწინააღმდეგეს აქტიურად ებრძოდა.

ანზორ გელდიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია მედლებით - „მხედრული მამაცობისთვის“ და „სამშობლოსათვის თავდადებული“.

„კანიბალიზმის საქმეზე“ კიდე ერთი პირი დააკავეს

კიდევ ერთი პირი დააკავეს ე.წ. კანიბალიზმის საქმეზე. გამოძიება დაკავებულს დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება. პროკურატურამ დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა. „კანიბალიზმის საქმეზე“ — 76 წლის ქალის მკვლელობისთვის ბექა შენგელია, მარიამ ყოჩიაშვილი და არასრულწლოვანი გოგო სამართალდამცავებმა 4 ნოემბერს დააკავეს.

ქრთამი კახეთშიც ანათებს...

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ - სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე, „სურსათის ეროვნული სააგენტოს,“ კახეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომელი დააკავა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქრთამის სანაცვლოდ,

არ განახორციელა მასზედ დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ - ცხოველის საკვები უვნებლობის, ჰიგიენური და ვეტერინალურ - სანიტარიული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი და მოქალაქეზე გასცა ყალბი ვეტერინარული მოწმობები (ფორმა 32).

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 -დან 9 წლამდე ვადით.

ლევან როსტოშვილს 8-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

სასამართლომ ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვისთვის ტელეწამყვან ლევან როსტოშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მსახიობ ლაშა კურტანიძეს - 5 წლით.

როსტოშვილი და კურტანიძე 2016 წლის 6 მაისს დააკავეს. სისხლის სამართლის საქმე 260-ე (დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა) მუხლით აღიძრა. ბრალდებულები წინასწარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ.



თბილისში ორი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა

თბილისში კიდევ ორი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ჟვანიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოტოციკლს მსუბუქი მანქანა შეეჯახა, ავტომობილის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოტოციკლის მძღოლმა კი ქვედა კიდურის მოტეხილობა მიიღო.

მეორე შემთხვევა ყაზბეგის გამზირზე დაფიქსირდა. სავარაუდოდ, დიდი სიჩქარით მომავალი მანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და სავალი ნაწილიდან გადავიდა.მანქანა ჯერ მგზავრთა მოსაცდელ გაჩერებაზე, შემდეგ კი იქვე მდგომ ჯიხურებში შევარდა. მძღოლი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში დახურული თავის ტრამვის დიაგნოზით გადაიყვანა. მოგვიანებით, ექიმის განმარტებით, პაციენტმა მკურნალობაზე უარი განაცხადა და კლინიკა დატოვა.

ჯარიმა ქალაქის დაბინძურებისთვის

3 აპრილიდან, დედაქალაქში, „თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები გამოჩდებიან, რომლებიც მათზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ნარჩენის დაყრისთვის დააჯარიმებენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დღეს „თბილსერვის ჯგუფის“ სათავო ოფისში შეხვედრა გაიმართა, სადაც ქვეითმა ინსპექტორებმა მომავალი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია კომპანიის ხელმძღვანელებისგან მიიღეს. მომავალი კვირიდან კი დაიწყება ქვეითი ინსპექტორების გადამზადება, რომლის ფარგლებშიც ისინი „თბილსერვის ჯგუფის“ შესაბამისი სამსახურების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ კურსებს დაესწრებიან.

პირველი ორი კვირის განმავლობაში, ინსპექტორების გამოჩენას მხოლოდ ინფორმაციული სახე ექნება, ისინი მოქალაქეებს მომავალ სანქციებთან დაკავშირებით გააფრთხილებენ და მათ მიერ დაყრილი ნარჩენის ურნაში ჩაყრისკენ მოუწოდებენ.

გმადლობთ!

ძვირფასო „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია!

თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო კარდიოლოგ **შალვა პეტრიაშვილს** ჩვენდამი დიდი ყურადღებისათვის.

უღრმესი მადლობა ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის კარდიოქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ **ზაზა კაციტაძეს**, რომელმაც რთული ოპერაცია გაუკეთა ჩემს შვილს თეა ხუნდაძე-პეტრიაშვილს.

მადლობა კლინიკის ხელმძღვანელს, მკურნალ ექიმს და მთელ მედ-პერსონალს დიდი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი კეთილი ადამიანები ქართველებს.

ნინო პეტრიაშვილი

პატივი მიაგეს იუნკერთა ხსოვნას

1921 წლის მარტში დაღუპული ქართველი იუნკერები კიდევ ერთხელ გაიხსენეს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, ქალაქ ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე რეგიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა სკვერში შეიკრიბნენ და იუნკერების საფლავზე მემორიალური ქვა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან შეკრებილებმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები გაიხსენეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. ღონისძიებაზე საზღვაო აკადემიის სასულე ორკესტრმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა.

1921 წლის მარტს საქართველოს გასაბჭოება განხორციელდა, რის შემდეგაც, თურქეთის საჯარისო ნაწილებმა ბათუმის ოლქი დაიკავეს. ქართველმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა თურქეთის საჯარისო ნაწილების მიერ დაკავებული ბათუმი გაათავისუფლა. თავისუფლებისთვის ბრძოლაში 50 იუნკერი დაიღუპა, მათ შორის, ერთი ქალბატონი.

იუნკერების საფლავის ძიება და გათხრები 1990 წლის მაისში დაიწყო. ათკაციანი ჯგუფი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა. გათხრების შედეგად აღმოჩენილია საბრძოლო იარაღი, ნივთები და გარდაცვლილთა ცხედრები. ნაწილის გადასვენება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მალევე მოხდა. 50-დან მხოლოდ 27 იუნკერის ვინაობის დადგენა მოხერხდა.

ბათუმის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა დღე ყოველი წლის 23 მარტს აღინიშნება.

ქართულ სუფრას არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ამის შესახებ ბრძანება საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა.

„მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს — ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურას (ქართული სუფრა)“, — წერია ბრძანებაში(№2/20), რომელიც 2017 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა და ძალაში გამოქვეყნებისთანავე შევიდა.

კიდევ ერთი სამბალიანი მიწისძვრა საქართველოში



სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, გუშინ საქართველოში 3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგები თბილისიდან 59კმ-ში, წალკის დასავლეთით სოფელ ოზნში დაფიქსირდა.

საკვებისა და... სხეულის სურნელება

მიჩნეულია, რომ აღზრდასა და გარემოზე მეტად, ადამიანის სექსუალურ შესაძლებლობებზე... კვება მოქმედებს.

ეროტიკული სამზარეულოს სამშობლოდ ბევრი მკვლევარი ჩინეთს ასახელებს. თუკი ისტორიულ ქრონიკებს დავუჯერებთ, ჩინელ მზარეულებს პოტენციის დაბრუნება უძლური ბებერი კაცისთვისაც კი შეეძლოთ, რომელსაც სასიყვარულო თამაშების სიხარული ათეულობით წლის წინათ აქვს დავიწყებული.

სხვა ვერსიით, პირველი ქვეყანა, სადაც საკვების მომზადება ეგრეთ წოდებულ „სასიყვარულო სტილში“ ისწავლეს, ინდოეთი იყო. იქაურმა კულინარებმა ძალიან დიდი ხნის წინათ შენიშნეს, რომ სქესობრივ ჯირკვალთა მოქმედება საჭმლის გემოზეა დამოკიდებული. ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ სუნელებს, რადგან მათი აზრით, საკვების გემო დიდ ზეგავლენას ახდენდა სხეულის არომატზე, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასიყვარულო თამაშებს.

ძვლების გამმაგრებელი... კრუტუნი

მკვლევარები აზრს გამოთქვამენ, რომ, შესაძლოა, კატის კრუტუნი ხელს უწყობს... ოსთეოპოროზის პროფილაქტიკას.

სპეციალისტები თვლიან, რომ კატის კრუტუნის სიხშირე და ვიბრაცია დადებითად მოქმედებს ძვლების მდგომარეობაზე.

ამერიკელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი წიწილებზე ჩაატარეს. ყოველდღე ფრინველებს 20 წუთით კატის კრუტუნის სიხშირის ვიბრაციულ დანადგარში ათავსებდნენ. წიწილები, რომლებზეც ბგერით ზემოქმედებდნენ, საკონტროლო ჯგუფის წიწილებთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდებოდნენ და ძვლების მეტი სიტკიცით გამოირჩეოდნენ.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ კატის კრუტუნის ხმა ადამიანებზეც ანალოგიურად მოქმედებს.

გარდა ამისა, **გერმანელმა მეცნიერებმა სამი ათასი ხანდაზმული ადამიანის ჯანმრთელობა შეისწავლეს, რომელთა შორის ისეთებიც იყვნენ, ვისაც სახლში კატა ჰყავდა. აღმოჩნდა, რომ ისინი საშუალოდ, 10,3 წლით მეტ ხანს ცხოვრობენ იმათთან შედარებით, ვისაც კატა არა ჰყავს.**

შაქარსაწინააღმდეგო აბაზანები

ცხელი აბაზანები გახდომას უწყობენ ხელს.

მკვლევარების განცხადებით, 40 გრადუსზე მეტი ტემპერატურის აბაზანის მიღება 126 კალორიას წვავს, რაც დაახლოებით 30-წუთიანი გასეირნების ტოლფასია.

გარდა ამისა, ცხელი აბაზანები აუმჯობესებენ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლასა და სისხლში შაქრის ოდენობის შემცირებას.

„საფრთხილო“ იუბილეები

ყველაზე ხშირად ადამიანები პარტნიორებს 29, 39 და 49 წლის ასაკში ღალატობენ.

ამ გარემოებას ფსიქოლოგები იუბილის წინა პერიოდის ნევროზულობას მიაწერენ. კაცი, რომელიც სიცოცხლის ახალ დეკადაში შედის, საკუთარ ბედში გარკვეულ ცვლილებათა შეტანას ცდილობს. იმის გამო კი, რომ საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შეცვლა საკმაოდ შრომატევადი პროცედურებია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ბევრნი პარტნიორის შეცვლას ამჯობინებენ, თუნდაც მოკლე ხნით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4498; ევრო - 2.6436;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0542;
100 რუბლი - 4.2270; თურქული ლირა - 0.6757;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4326;
1000 სომხური დრამი - 5.0720.

ამინდი 24 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+14
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge